რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 26 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 26

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი, და დედა ვარდო მგალობლიშვილისა, ძმები: ილარიონ და სარდიონ მგალობლიშვილები, ბიცოლა ციბულო და სონა მგალობლიშვილებისა, ბიძები სოლომონ, კოწია და ჯაბა უჯმაჯურიძეები, ბიცოლები: მინა, კატო და მარო უჯმაჯურიძეებისა, ბებია ფოტინე, დეიდა ნინუცა უჯმაჯურიძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

ფატია ილიას ასულის მგალობლიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება „შაბათს 3 თებერვალს დილის 10 საათ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

21 იანვარს სადგ. შახტაში უდროვოთ გარდაიცვალა

გიორგი მიხეილის ძე მელაძე,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ანასტასი საველის ასული, დედა დეპიტე, შვილი პელაგი, დები: მატრონე და ცუცუ, სიძე ვლასა ანტონის ძე ცინცაძე და შვილის-შვილი ნინა ვლასას ასული ცინცაძე. გამოსვენება ამ დროებით შეუძლებელი დარჩა. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 4 თებერვალს დილით 10 საათზე დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში. (1—1)

დამზადებულია კოლექციებათ ახალი ნაცადი

საბოსტნე თესლები

1-ლი კოლექცია,—ამიერ-კავკასიის მთა-გორიან ადგილებში გამოსადეგი, შემდგარი ოცი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან, ღირს—120 მანეთი.

2-რე კოლექცია—დაბალ ადგილებისათვის, ოცდაექვსი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან შემდგარი ღირს—160 მანეთი.

კოლექცია მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით. კოოპერატივებს და დაწესებულებებს თესლი გაეგზავნებათ მთელი ფასის 75 პროც. მიღების შემდეგ. დანარჩენი კი ფასდადებით, კერძო პირებს კი 20 პროც. უფრო ძვირად და მთელი ფასის მიღების შემდეგ.

დაკვეთა მიიღება 1 მარტამდე, დაკვეთილი თესლები დაეგზავნებათ მსურველთ რიგ-რიგობით.

დაკვეთა და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бебская № 6 контора „Земля и Трудъ", агроному А. А. Атанасіану. (5—1)

თფილისის სახელოსნო კლუბი

კვირას, 4 თებერვალს დილის 10 ს. გამგეობისაგან დანიშნულია კლუბის წევრთა

წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1) 1917 წლის ანგარიში.
2) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) გამგეობის საბჭოს წევრთა არჩევნები 1918 წლისათვის.
4) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5) სარეკომენდაციო კომისიის არჩევნები.

კლუბის წესდების 38 მუხლის თანახმად საზოგადო კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (2—1)

საკომერციო ცოდნის კურსები

ა. ნ. ინწკირველისა

ბათუმში.

კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებით სასწავლებლის ცოდნით.

კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.

მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობაში.

სწავლის ფასი 200 მანეთი.

კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე. (6—5)

კვირას, 4 თებერვალს დილის 11 საათზე ბირჟის დარბაზში (პუშკინის პასაჟი) დანიშნულია თფილისის მომხმარებელ საზოგადოების „მანუფაქტურის" წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1) დამაარსებელთა ანგარიში,
2) წესდების და მასთან შეკავშირებულ საკითხების განხილვა,
3 ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება,
4) არჩევნები გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

კოოპერატივში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ პირებთან:

1) ზურაბ აბაჯევთან—პუშკინის პასაჟი № 6. 2) ალექსანდრე მამიკონიანცთან—ბერძენთა პასაჟი № 9. კრების დღეს კი ჩაწერა შეიძლება ბირჟის დარბაზში. (2—2)

## საზავო მოლაპარაკების შეწყვეტა და ჯარების დემობილიზაცია

ლენინ-ტროცკის „მთავრობამ" ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებთან საზავო მოლაპარაკება შესწყვიტეს და რუსეთში ჯარების დემობილიზაცია გამოაცხადეს. სახალხო და სამხედრო კომისარები საქვეყნოთ აცხადებენ, რომ საზავო მოლაპარაკება დასრულდა. გერმანელ კაპიტალისტებმა, ბანკირებმა და მემამულეებმა, რომლებსაც ღუმილით ხელს უწყობდა ინგლისის, საფრანგეთის ბურჟუაზია, დაუყენეს ჩვენს ამხანაგებს, სამშვიდობო დელეგაციის წევრებს ბრესტში ისეთი პირობები, რომლის ქვეშ არ შეუძლია ხელი მოაწეროს რუსის დელეგაციამ. გერმანიის და ავსტრიის მთავრობებს სურთ მათ ხელში იყოს იარაღით დაპყრობილი ქვეყნები. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ და ნეიტრალურ ქვეყნების მთავრობებს, რომ იგი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ანექსიონისტურ ხელშეკრულობაზე. რუსეთი თავის მხრით აცხადებს, რომ ის სწყვეტს ომს გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან და ბოლგარიასთან. ამის გამო დაუყონებლივ უნდა გამოუცხადოთ ჯარებს, რომ გერმანიასა, ავსტრიასთან, ოსმალეთთან ომი სამუდამოთ გათავდა და ყველა ფრონტზე ჯარების დემობილიზაცია მოხდეს.

თუ აქ მოყვანილი დეპეშის შინაარსი სინამდვილეა და იგი სახალხო კომისარებს ეკუთვნის—უკვე გადაჭრილათ უნდა ითქვას, რომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბალშევიკების შინაურმა და საგარეო პოლიტიკამ რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია დაასუსტა, შინ და გარეთ ბრძოლის უნარი დაუკარგა და უკანასკნელი იძულებული გახადა იმპერიალისტების წინაშე დაეჩოქებია.

ვინ არ იცის, რომ მტერს, განსაკუთრებით საგარეოს ყოველმა რევოლიუციონურმა მთავრობამ შესაფერი ფიზიკური და მორალური ძალა უნდა დაუყენოს; მხოლოდ ასეთი ძალის მეოხებით შეიძლება დემოკრატიული ზავის ჩამოგდება და იმპერიალისტების დამარცხება. განსაკუთრებით ბალშევიკების ცენტრში გაბატონების შემდეგ რუსეთის არმია ფრონტიდან დაიძრა, რევოლიუციონურ ჯარს მოგერიებითი ბრძოლის უნარი დაუკარგეს და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების იმპერიალისტების წინაშე ისე წარდგნენ და დასუსტებულებმა დაიწყეს ბრესტში საზავო მოლაპარაკება.

ისტორიას არ ახსოვს ასეთ პირობებში სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვა. ჯარი ფრონტს სრულიათ მოშორდა და მერე იმპერიალისტებთან იწყებენ ზავზე ლაპარაკს და ამასთანავე დემოკრატიულ ზავს მოითხოვენ. სოციალისტებთან არ მოისურვეს მოლაპარაკება და ვილჰელმის აგენტებთან კი ლენინ-ტროცკის რწმუნებულებმა, სრულიათ ილაჯ გაწყვეტილებმა განიზრახეს მსოფლიო ომის მოსპობა დემოკრატიულ ზავის ნიადაგზე.

სახალხო კომისარებმა ტრაღიკულათ დაიწყეს საზავო მოლაპარაკება და კომიკურათ დაამთავრეს იგი. აბა თუ არ კომენდიანტობა, რომელი რევოლიუციონური მთავრობა იკისრებდა იმპერიალისტებთან საზავო მოლაპარაკება გაემართა და გამარჯვებულ მტრისთვის დემოკრატიული ზავი მოეთხოვა მაშინ, როცა რევოლიუციონური მთავრობა არავითარ ძალას არ წარმოადგენდა და ეს ძალიან კარგათ იცოდა მოწინააღმდეგემ. ამიტომაც იყო ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტურმა მთავრობამ ბალშევიკების „მთავრობის" მუქარას ყურადღება არ მიაქცია და დაპყრობილ ტერიტორიის ხელის აღებაზე უარი არა სთქვა.

ეხლა ბალშევიკები იძულებული გახდენ ლოღიკური ნაბიჯი გადაედგათ და საქვეყნოთ განეცხადებიათ, რომ ისინი ანექსიონისტურ ზავს ხელს არ აწერენ, მაგრამ რადგან ჩვენ ძალა აღარ შეგვწევს, ომს გათავებულათ ვაცხადებთ და ჯარების დემობილიზაციას ვახდენთო. უკანასკნელმა განცხადებამ — სახალხო კომისარების კომედიამ—უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეხლა ისინი ზავს ხელს არ აწერენ, სამაგიეროთ კი ომს გათავებულათ აცხადებენ. ისტორიამ არ იცის ასეთი მაგალითი. ამით ისინი საბოლოოთ ცენტრალურ სახელმწიფოების წინაშე მუხლმოდრეკილნი დგანან და თავისებური გაბედულებით ეუბნებიან: მოდით და იბატონეთ ჩვენზეო. ამ სახით ბალშევიკებმა რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია და მთელი რუსეთის ხალხი გაყიდეს, დიდი ხნით რუსეთის ხალხი გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტებს საჯიჯგნათ დაუტოვეს და მათი ეკონომიური ბატონობა განმტკიცდება.

რომ რუსეთის ხალხის წინაშე ბოდიში მოიხადონ და თავი გაიმართლონ ბალშევიკებმა, პილატესავით ხელს იბანენ და სანუგეშებლათ იმას და იტოვებენ, რომ ასეთ პირობებში გერმანია-ავსტრიის ჯარისკაცებმა იცოდენ თუ ვინ და რისთვის მიერეკებათ მათ სამრათო. ამ რუსეთის ხალხის გამყიდველებს დავიწყებიათ, რომ მათ თავიანთ ასეთ ავანტიურისტულ საზავო პოლიტიკით ცენტრალურ სახელმწიფოების მუშათა კლასი და ჯარისკაცები დაასუსტეს და მათი მტრები იქაც მედგრათ გააძლიერეს. ახლა იქ იმპერიალისტები ბატონობენ, ბალშევიკების პოლიტიკის მეოხებით დღესასწაულს მართავენ და წვრილ ბურჟუაზიასა და წვრილ გლეხკაცობას თავისაკენ იზიდავენ. ამ ათი წლის წინათ კაუცკი სწერდა, რომ გერმანიას საგარეო პოლიტიკა და კოლონიების ხელში ჩაგდება იმისთვის უნდა, რომ შინ კლასობრივი ბრძოლა გაანელოს, წვრილი ბურჟუაზიისა და ინტელიგენტური ელემენტების ეკონომიური მდგომარეობა ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე გაამაგროს და მით მსხვილი ბურჟუაზიული კლასების და მათი მთავრობის მომხრეთა რიცხვი გაამრავლოს და განაძლიეროს.

დღეს გერმანიის მთავრობამ დიდი ხნის საწადელს მიახწია და გერმანიის ხალხს, რასაკვირველია არა მუშათა კლას, ახალი ტერიტორიები მოუპოვა და მათ საშუალება ეძლევათ ეკონომიურათ გაღონიერდენ. ახლა უკანასკნელები გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ ამხედრდებიან და მათ საგარეო პოლიტიკას მხარს არ დაუჭერენ. რუსეთის ბალშევიკებმა უღალატეს არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოების მუშათა კლასს, არამედ უღალატეს აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატს და უკანასკნელი დაასუსტეს. ასე ლენინ-ტროცკის საზაო პოლიტიკამ რუსეთის ხალხი დაღუპვის კარამდის მიიყვანეს და საერთაშორისო დემოკრატია დაასუსტეს. ბალშევიკების საზავო პოლიტიკამ იმპერიალისტებს საბოლოვო გამარჯვება მიანიჭეს.

## ბალშევიკები და ბ-ნი სტეფანე შაუმიანი

ამ რამდენიმე დღის უკან მოულოდნელათ მოგვევლინა ბ. შაუმიანი და თავისი თავი კავკასიის საგანგებო კომისრათ გამოაცხადა. თავის რწმუნების დასამტკიცებლათ მან გამოამზეურა გასულ წლის 18 დეკემბრის სათანადო დეკრეტი პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოისა.

ადგილობრივ დემოკრატიის მთავრობა — ამიერ-კავკასიის კომისარიატი, — ცხადია, ვერ დასტოვებდა თავის გვერდით სხვა მთავრობას, რომელიც ბიუროკრატიულ წესით იყო დანიშნული სწორეთ ისე, როგორც ყოფილი მეფე, ნიკოლოზი, თავის მოადგილეს, „ნამესტნიკს" ნიშნავდა.

მაგრამ, საუბედუროთ, კომისარიატმა მეტის-მეტი რაინდობა გამოიჩინა და ბ.ბ. შაუმიანს და მის მდივანს კუზნეცოვს წინადადება მისცა ოცდა ოთხი საათის განმავლობაში გასცლოდენ ამიერ-კავკასიის საზღვრებს. „კომისარმა" შაუმიანმა და მისმა მდივანმა კუზნეცოვმა უჩინმაჩინის ქუდი დაიხურეს და სადღაც მიიმალენ. გამოცდილი პირები ამბობენ, რომ შაუმიანი და კუზნეცოვი სალდათის ტანისამოსში გადაცმულები დადიან და აგიტაციას ეწევიან ფრონტიდან მომავალ ეშელონებში, რომელნიც ნავთლუღის ახლოს დგანან და წასვლას ივვიანებენ. მას შემდეგ, რაც ბ. კუზნეცოვმა არსენალის ახლოს ჩაიდინა ნოემბრის გასულს და რაც რომ ბ. შაუმიანი განჯაში ნახეს ეშელონებთან შეტაკების დროს, არავისთვის აღარ იყო მოულოდნელი ბალშევიკების პროვოკატორული მოღვაწეობა. გუშინწინდელ „კავკაზსკი რაბოჩი"-მ პირდაპირ მიმართა ეშელონებს—ნუ წახვალთ, თორემ გზაზე ხიფათს გიმზადებენო. მაგრამ ყველასათვის თვალსაჩინო საბუთები არ არსებობდა ხელთ. დღეს ეს უტყუარი საბუთიც ხელთა გვაქვს. ეს არის ოთხშაბათს საღამოს გამოშვებული პირველი ნომერი ეგრეთ წოდებულ **სახალხო კომისართა საბჭოს კავკასიის უწყებისა**. ბ. შაუმიანი, ალბათ, ვერ მოთავსდა „კავკაზსკი რაბოჩი"-ს ვიწრო ფურცლებზე და ახლა უფრო დიდი ფორმატის ქაღალდზე აცხადებს თავის კომისრათ დანიშვნის ამბავს. ჩვენ არ გამოვუდგებით აქ მის დაპირებებს, რომელშიაც ყველას გულის მოგებას ცდილობს: მუსულმანებს ის ურიგებს ბეგების და აღალარების მიწებს, იმ პირობით, რასაკვირველია, რომ მუსულმანები დაიარსებენ გლეხთა და მუშათა საბჭოებს და ლენინის მთავრობას და მის კომისარ შაუმიანს იცნობენ; ოსმალეთის სომხეთს ის პირდება განთავისუფლებას და დამოუკიდებლობას. კილოც ნამდვილი „ნამესტნიკის" აქვს ბ. შაუმიანს: „სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მე მოვითხოვ დაუყონებლივ შეჩერებულ იქნას შემდეგი ცდა სალდათების იარაღის აყრისო" და სხვ.

ეს ტიპიური ბიუროკრატი მუშებს მიმართავს სწორეთ ისე, როგორც ერთხელ ვიტტემ მიმართა („ძმებო, მუშებო") და ეს მას შემდეგ, როცა სახელოსნოს მუშათა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა ის დაგმო, ხოლო ამიერ-კავკასიის კომისარიატს ნდობა გამოუცხადა. მას არ ცნობს ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა საოლქო ცენტრი; მას არ ცნობს აგრეთვე ამიერ-კავკასიის გლეხობა. რა ზნეობრივი უფლებით მიმართავს ის ამიერ-კავკასიის დემოკრატიას?

ეს ტიპიური შანტაჟისტი არ ერიდება აგრეთვე აშკარა ტყუილებს. აი რას სწერს ის, სხვათა შორის, თავის საბჭოებისადმი მიმართულ მოწოდებაში:

„ამიერ-კავკასიის კომისარიატს შეეშინდა იმ ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია, და სამსახურს თავი დაანება. ეგრეთ წოდებულმა ამიერ-კავკასიის სეიმმა, რომელიც 22 იანვარს გაიხსნა, პირველ დღესავე გამოიჩინა უნიადაგობა და უძლურება. ბალშევიკებს გარდა, რომლებმა არც კი მოისურვეს სეიმი დასწრების ღირსათ გაეხადათ, სეიმის საპიროება უარყვეს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და დაშნაკელებმაო".

ასეთი ტყუილებით და გადამახინჯებული ამბებით უმასპინძლდება ბ. შაუმიანი თავის მკითხველებს, განსაკუთრებით მიმავალ ეშელონებს.

ჩვენ არ ვიზიარებთ შაუმიანის ამხანაგების, პეტროგრადელ ბალშევიკების ჯალათურ ქცევას პრესისა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის საქმეში. ამიტომ ჩვენ ძალიან მოგვწონს ის სულგრძელობა, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი იჩენს მოწინააღმდეგისადმი. მაგრამ ბ. შაუმიანმა არ შეასრულა მთავრობის დადგენილება ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან გასვლის შესახებ. პირიქით, ის სადღაც მიიმალა და ისე ეწევა ბრძოლას ადგილობრივ დემოკრატიის წინააღმდეგ. ასე უკუღმა დაატრიალა ბ. შაუმიანმა არალეგალურ მუშაობის პრინციპი: წინათ მეფის ჯალათებს ემალებოდენ დემოკრატიის გულისთვის, დღეს შაუმიანი დემოკრატიას დაემალა, რათა ამ დემოკრატიის წარმომადგენლებს ზურგიდან დაეცეს. ადგილობრივი სხვა ბალშევიკებიც გვერდს უმშვენებენ შაუმიანს ამ შავ-ბნელ მოღვაწეობაში.

დემოკრატიამ კარგათ უნდა დაიხსომოს ეს.

## პრესა

ჩვენს მამულიშვილებს საქართველოს საზღვრებში სამოქალაქო ომი მოლანდებიათ. „სახალხო საქმე" სწერს:

„ეს ომი საშინელია ყველა ერისათვის და საშინელი, სამარცხვინო და უაზრო საქართველოსათვისაც. ჩვენთვის საჭირო არა ომი შინაურ ძალებისა და ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ პოლიტიკურ-ეროვნული ბრძოლა სამშობლოს და ხალხის კეთილდღეობისათვის. უტყუარი ფაქტია, რომ საშინაო და საგარეო ომმა დაგვაქვეითა ზნეობრივათ, კულტურულად, ეკონომიურად. ამ საშინელ განწყობილების ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ სიველურე, რეაქცია და მთელი ცხოვრების უკან დახევა. ანარქია და სამოქალაქო ომი კულტურის გამრყვნელი ძალაა, ეს გზაა ერის და სამშობლოს დაკარგვისა. ეს უაზრობა და ადამიანობის უარყოფაა".

საქართველო თითქმის ერთად ერთი კუთხეა, სადაც სამოქალაქო ომს ალაგი არ აქვს. და თუ ამის მიუხედავათ „სახალხო საქმე"-მ მაინც აღმოაჩინა ჩვენში სამოქალაქო ომი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფედერალისტებს რაღაც სხვა სურვილები აქვთ. „სახალხო საქმე"-ც ქვემოთ ამ სურვილებს ააშკარავებს" ის სწერს:

„ყოველ გვარ სურსათის არსებობის სახსარ მოკლებულ ქვეყანას, დამშეულს ფულით, პურით, წყლით და უნგარო ადამიანებით, ამ წუთში ესაჭიროება ერთი დემოკრატიული ეროვნული ფრონტი, ეროვნული თავდაცვის დროშა, დროშა კულტურული, რომლის მოქალაქენი ერთ დიდ ეროვნულ გვარდიას უნდა წარმოადგენდნენ ეროვნულ ბრძოლისათვის განმზადებულს და ომიანობის დამთრგუნველს, იქნება ეს ომი გარეთ თუ შინ".

„სახალხო" ტყვილათ ხმარობს სიტყვებს „დემოკრატიული ფრონტი", რადგან მისი მსჯელობის დედა-აზრია მთელი ერის ერთს დროშის ქვეშ დადგომა და სამოქალაქო ომის დათრგუნვა, ესე იგი სოციალურ რეფორმებისთვის ზურგის შექცევა.

* * *

ნაციონალისტურ ფერხულში ჩაბმულია აგრეთვე ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც „ალიონი"-ს რედაქციაში მოკალათებულა. ამ ჯგუფს მოლანდებია, თითქოს „ერთობა" ეროვნულ საბჭოების გაუქმებას ითხოვდეს. „ალიონი" სწერს: „საბჭოების წინააღმდეგ ეხლა ბრძოლა სწარმოებს. ეროვნულ საბჭოებს ებრძვის საოლქო ცენტრი, ებრძვის ამ ცენტრის ორგანო „იზვესტია", ებრძვის, ასე გასინჯეთ, „ერთობაც"-ო.

მერე რითი ასაბუთებს „ალიონი" ყველა ამას? სხვათა შორის იმით, რაც გეგეჭკორმა თქვა ცენტრის კრებაზე.

„ალიონი" რომ ნაციონალისტურ ფეხის ხმას არ აყოლოდა, ადვილათ მიხვდებოდა, რომ ჩვენ და გეგეჭკორიც ვილაშქრებთ არა ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ, არამედ ზოგიერთ საბჭოების მიერ სხვისი უფლებებით სარგებლობის წინააღმდეგ.

* * *

ბალშევიკური „ბრძოლა" ასე აუწერს საზოგადოებას შექმნილ მდგომარეობას: „ჩვენში ერთ ბანაკათ დაირაზმენ მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. წაიშალა მათ შორის ყოველივე განსხვავება და ერთპირათ უტევენ საერთო მტერს; ეს მტერია ბალშევიკები.

ორი ფრონტი, ერთმანეთიდან მტკიცეთ გამომიჯნული, ჩვენშიაც ჩამოყალიბდა და მათ შორის ბრძოლა უფრო და უფრო მკაფიო და თან მწვავე ხასიათს იღებს. დეე ამ ბრძოლის ეშინოდეთ გაბატონებულ კლასებს, მშრომელ ხალხისთვის იგი სრულიათ არ არის საშიში".

აქ „ბრძოლა" ჩვეულებისამებრ ღალატობს სინამდვილეს. ერთი ის, რომ ჩვენ და ფედერალისტ—ეროვნულ დემოკრატები არ გაგვერთიანებულვართ, რაც ყველამ კარგათ იცის. მეორეც ის, რომ ჩვენში სწორეთ, რეაქციონერებს უხარიათ ბალშევიკების მოვლინება (მოიგონეთ თუნდაც დაშნაკელების პროტესტი შაუმიანის გაძევების გამო), ხოლო დემოკრატიამ შეიარაღებული რაზმები გამოგზავნა მოსალოდნელ ბალშევიკურ ავანტიურასთან საბრძოლველათ. „ბრძოლა"-ს წერის დროს სწორეთ ისე ემართება, როგორც ერთს სამოთხის ჩიტს, რომელიც მღერის დროს თავის თავს ივიწყებს.

ამ თავდავიწყებით აიხსნება აგრეთვე „ბრძოლა"-ს სიტყვები ჩვენ მიმართ:

„მათ აქამდე ვერ მოიცალეს, რომ მიწის საკითხი რადიკალურათ გადაეჭრათ გლეხთა სასარგებლოთ... მათ ვერ გაიმეტეს, რომ ძალა-უფლება მშრომელ ხალხს გადასცემოდა და პირიქით იმასაც ართმევენ, რაც ამ მხრით მას მოეპოვება".

გამოდის რომ ჩვენ, როცა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ნებას ვასრულებთ, ამით ხალხისთვის ძალა-უფლებას ვერ ვიმეტებთ, ხოლო როცა ადგილობრივ დემოკრატიის დაუკითხავათ და მის წინააღმდეგ ლენინი ბ. სტეფანე შაუმიანს გზავნის კავკასიის ნამესტნიკათ, ეს ხალხისთვის ძალა-უფლების მინიჭებას ნიშნავს. ასე აბედნიერებდა ოდესღაც ხალხს ნეტარხსენებული ნიკოლოზ მეორე თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა.

ამავე საგანს ეხება ბალშევიკური რუსული „კავკაზსკი რაბოჩი". ის სწერს:

„რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის ტალღები ამიერ-კავკასიის ნაპირებს უახლოვდება.

მეორე მხრით ამიერ-კავკასიის ერების: სომხების, თათრების და ქართველების კაპიტალისტები და მემამულეები მენშევიკებთან, სოციალისტ-რევოლიუციონერებთან და დაშნაკელებთან ერთად ემზადებიან ძლევამოსილ რევოლიუციის ტალღების დასალეწად".

მერე რაში გამოიხატა მენშევიკების შეერთება მემამულეებთან და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა. „კავკაზსკი რაბოჩი" გვიხსნის:

„ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომელმაც ნდობა დაკარგა ხალხის თვალში, განსაკუთრებულ ზომებს მიმართავს თავის სამარცხვინოთ სახელგატეხილ ძალა-უფლების აღსადგენათ და ასე გასინჯეთ სანგრებსაც კი ათხრევინებს თფილისის გარშემო რევოლიუციის მომხრეთა მოსალოდნელ დაცემის დასახვედრათ".

ასეთი ტყუილებით უმასპინძლდება მკითხველებს „კავკაზსკი რაბოჩი" თავის თანამშრომელ ოსეპიანცის პირით. გამოდის, რომ ფრონტიდან სახლში გაქცეული სალდათთა ბრბო რევოლიუციის მომხრე ყოფილა და ვინც თფილისი გაამაგრა ამ არა-მკითხეთა მოსალოდნელ მოსევისაგან, ის მემამულეების მეგობარი.

რა გაეწყობა: ბალშევიკების გემოვნების საკითხში ჩვენ არ ჩავერევით.

## ორიოდე სიტყვა

**პროფესორი ალი ტერ-კავკასიშვილი.**

მკითხველი უეჭველათ შემცდარი იქნება თუ იფიქრებს, რომ მართლა არსებობს ისეთი პროფესორი, რომელშიაც ასე თანასწორათ შერეული იყოს თათრის, სომხის და ქართველის სისხლი.

პროფესორი ალი ტერ-კავკასიშვილი სინამდვილეში არ არსებობს.

ამ არ არსებული პროფესორის სახელით, ანუ ფსევდონიმით, წერილებსა სწერენ ადგილობრივ სომხის პლუტოკრატიის და უადგილო თუ ადგილზე მყოფი რუსი „ჩინოვნიკების" აზრთა და მისწრაფებათა გამომხატველ „ტიფლისკი ლისტოკში".

ეს პლუტოკრატია, „ჩინოვნიკობა" და მათი ზრახვათა ქაღალდზე კალმით გადამტანი ხალხი უაღრესად „ჭკვიანი" ხალხია და პროფესორი ალი ტერ-კავკასიშვილის ფსევდონიმით სწერენ საამდროვო „ნაკვესებს" ისე, როგორც მესამოცე წლებში რუსეთში კუზმა პრუტკოვის ფსევდონიმით საიმდროვო ნაკვესებსა სწერდენ ცნობილი რუსი მწერლები.

ერთი ნაკვესთაგანი ამ პროფესორისა ასეთია:

„არც ერთი დიდებული საქმე რუსეთში არ კეთდება კავკასიელების დაუხმარებლათ".

შემდეგ—

„უსარგებლოა გეოგრაფიის შესწავლა. რა საჭიროა ჩვენთვის სხვა ქვეყნის სიმშვენიერეზე ვიცოდეთ რამე; მაშინ ხომ შეიძლება აღგვეძრას დაპყრობითი მადა და ვუღალატოთ ჩვენს ლოზუნგს „უკონტრიბუციოს და უანექსიოს"".

ჩვენ მეტად ცუდი თვისება გვაქვს. ყოველივე კარგს ვხედავთ იქ, სადაც ჩვენ არ ვიმყოფებით და საუკეთესოს, რაც ჩვენ გვაქვს, ვერ ვამჩნევთ.

მშვენივრად ვიცით, რომ ქუთაისში მოდის ლობიო და პოლიტიკური მოღვაწეები. ლობიო სალდება ადგილობრივათ, თფილისში, პოლიტიკურ მოღვაწეებს კი ფასი აქვთ ქუთაისის რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც. ეს ფაქტი არც ერთ გეოგრაფიაში არ არის აღნიშნული.

აგრეთვე, თქვენ ვერსად ვერ აღმოაჩენთ, რომ მოხსენებული იყოს, რომ ერივანში განსაკუთრებით დაშნაკცაკანები იზრდება, ხოლო დაღესტანში „გარეულ დივიზიას" აწყობდენ".

რაშია საქმე, რატომ ასე უზრდელათ ოხუნჯობს ეს პლუტოკრატი თუ „ჩინოვნიკი" პროფესორი?

კუზმა პრუტკოვი ზოგჯერ იტყოდა ხოლმე:

Смотри въ корень!-о.

და უკეთუ ცოტაოდენ შრომას არ დავიზარებთ და ამ პროფესორის „ნაკვესებს" „ფესვებს გავუსინჯავთ" აღმოჩნდება, რომ თფილისის სასწავლებლებში და საერთოდ კავკასიაში „ინოროდცებს",—ამ უმცროს ძმებს, ნაციონალიზაცია გაუტარებიათ, სწავლების საქმე თავიანთ სამშობლო ენაზე მოუწყვიათ.

და რადგანაც ეს მომხ[...]რა უფროსი ძმის დაუკითხავათ, თუ ნება დაურთველად, ამიტომ გამოსთქვამს ის საყვედურს.

მეორე „ფესვი" ასეთი საყვედურისა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პროფესორი თუ სხვა რომელიმე „ჩინოვნიკი" ადგილიდან დაუთხოვიათ, ვინაიდან ძველად აღიარებული იყო რა „ტუზემცების" ენა ისეთი ცხოველის ენათ, რომელი ენაც კეთილ-ხმოვანად არ გამოითქმის, „ჩინოვნიკს" ეს ენა არ შეუსწავლია.

მესამე „ფესვი" ასეთია: „შიში შეიქმს სიყვარულს" ან „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას".

იმის შიში, რომ უადგილო „ჩინოვნიკი"—პედაგოგი ან სხვა მოხელე, „ინოროდცების" უფროს ძმათაგანი, ვერაფერი გამსაღებელი იქნება „ტიფლისკი ლისტოკისა", ამიტომ ამ „სავაჭრო სახლის" პატრონის გულში იწვევს მისდამი თანაგრძნობას, სიყვარულს და ცდილობს მათ ძველ „პოსტზე" გამაგრებას პლუტოკრატიული თუ სხვა მის თანამოძმეთა საზოგადოებრივ აზრის ასეთი „ნაკვესებით" და მომზადებით.

ასეთ შემთხვევაში უთქვამთ—„მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო".

ჩვენს მკითხველებში ყველანი, წინდაწინვე ვიტყვით, არ იქნებიან საკითხის ამ თვალსაზრისით ახსნა-განმარტების მომხრე.

ზოგიერთები პროფესორ ალი ტერ-კავკასიშვილის წერილებს ისე ახსნიან, თითქოს „უფროს ძმას" გული ეწვოდეს, „უმცროს ძმაზე"—საგონებელში იყოს ჩავარდნილი და ამბობდეს: მართალია, „უმცროს ძმას" სიარული კი ვასწავლე, მაგრამ იქნებ ვერ შესძლოს სიარული საკუთარი ფეხებითო.

ამ შემთხვევაში „უმცროსი ძმა" ვალდებულია დაუმტკიცოს „უფროს ძმას", რომ ის სიარულს შესძლებს, თორემ სირცხვილია, იტყვიან: გამოუსადეგარია, ამდენი ხნის განმავლობაში თავისი საკუთარი ფეხებით სიარულს ვერ შეეჩვიაო!...

## უკრაინამ გერმანიასთან ზავი შეკრა

დონის როსტოვიდან პირდაპირი მავთულით 31 იანვარს შემდეგი ცნობა მოვიდა: უკრაინამ დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადა და გერმანიასთან ზავი შეკრა, შეადგინეს კორპუსები და მედგრათ ებრძვიან ბალშევიკებს. რუმინელ ჯარებით შჩერბაჩოვი დასახმარებლათ წამოვიდა. ადესა ჯერ ბალშევიკების ხელშია.

გერმანიამ აღიარა უკრაინის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და სრულიად გაანთავისუფლა ყველა იმ შედეგებისაგან, რომელიც გერმანიის რუსეთთან ზავის პირობებს მოჰყვება. უკრაინელებს უნდოდათ გალიციის ნაწილი მიეღოთ, მაგრამ გერმანელებმა მოაგონეს მათ: „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო არისო".

## სამოქალაქო ომი

როსტოვიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ყუბანზე ძლიერი იერიში მოაქვთ ბალშევიკებს, მაგრამ მედგრათ იგერიებენ და იმედი აქვთ დაამარცხებენ.

კალედინს თავი არ მოუკლავს, ის ცოცხალია. მისი თავის მოკვლის შესახებ გავრცელებული ხმები პროვოკაცია არის.

## კავკასიის ფრონტი

29 და 30 იანვრის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად კავკასიის ფრონტზე დროებით შერიგების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**განჯიდან** იტყობინებიან: 30 იანვარს საღამოს 9 საათზე ცნობა მოვიდა, რომ სად. ძეგამსა და დოლიარს შორის მდებარე ხიდისთვის გადაუსხამთ ნავთი და წაუკიდებიათ ცეცხლი. ამიტომ მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. 31 იანვარს დილით განჯიდან გაიგზავნა მუშები და მასალა ხიდის შესაკეთებლათ. მუშებს თან გაჰყვა რაზმი.

**სანაინიდან** საგანგებო დელეგაციის რწმუნებული შავგულიძე 30 იანვრის თარიღით იტყობინება: ვინაიდან გიხშირდა ძარცვა-გლეჯა აირუმ-ნავთლუღის რაიონში, 80 ვერსის მანძილზე, და განსაკუთრებით კი სასაშიშროა მატარებლების ღამით მოძრაობა, აუცილებლათ საჭიროა ახლავე შეწყდეს მატარებლების მოძრაობა. მატარებლების მოძრაობა ამ რაიონებში უნდა სწარმოებდეს დღით და არას შემთხვევაში—ღამით.

**ძეგამიდან** სადგურის უფროსი იუწყება: გთხოვთ მატარებელს ისე ნუ გამოგზავნით, რომ მას არ ახლდეს თან დასაცავად რაზმი. მატარებლების გასაძარცვავად მთებიდან და ახლო მახლო ადგილებიდან მოზღვავებულ მომთაბარე მძარცველებს ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ უმკლავდებიან.

## ახალი ამბები

◆ **ქართულ ნაციონალურ საბჭოს** სამხედრო სექციამ მიმართა შინაგან საქმეთა კომისარს ა. ჩხენკელს შემდეგი განცხადებით: ვინაიდან სამხედრო ნაწილები ამ ბოლო ხანებში თავისი ნებით ანებებენ თავს სამხედრო სამსახურს და ამით, დარჩენილ სამხედრო საქონელს სხვა დასხვა მხრიდან დატაცება მოელის, ამიტომ გთხოვთ გასცეთ შესაფერი განკარგულება, რათა ამ ქონების მოვლა დაევალოს ადგილობრივ მთაერობის ორგანოებს, სანამ ამისათვის არ შეიქნება ახალი სამხედრო ნაწილები. ამის გამო ა. ჩხენკელმა განკარგულება გასცა, რათა კომისარებმა მიიღონ თავიანთ თავზე მიმავალ ეშელონების მიერ დატოვილ ქონებათა მოვლა-შენახვის საქმე.

◆ **სურსათის გარშემო.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა თფილისის სახაზინო სამმართველოს გამგეს, რათა მან სახელმწიფო შემოსავალთა ფონდიდან გადასცეს სურსათის საქმეთა კომისარს მილიონ ნახევარი მანეთი სესხი ჩრდილო კავკასიაში პურის სასყიდლათ.

◆ **მიმავალი ეშელონები.** 31 იანვარს ამხ. ალ. ლომთათიძე იყო მიმავალ ეშელონებთან მოსალაპარაკებლათ. მიმავალ ეშელონების უმრავლესობის პოლიტიკური რწმენა ბალშევიკურია. ალ. ლომთათიძემ ეშელონებს მიმართა სიტყვით და გააცნო მათ, რომ ქალაქის თვითმართველობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რათა თფილისში უზრუნველყოფილ იქნენ მიმავალი ეშელონები. თავის მხრივ იგი სთხოვდა ეშელონებს არ დაერღვიათ თფილისში რევოლიუციონური წესრიგი და არ შეხებოდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელნიც მათ არ ერჩიან. ამაზე ეშელონებმა უპასუხეს, რომ მათ უნდათ მხოლოდ ამიერ კავკასიის კომისარიატის ჩამოგდება და მცხოვრებთ არას ერჩიან. ალ. ლომთათიძეს უთქვამს, რომ ნუ თუ ეშელონებს ჰგონიათ, რომ ჩამოგდება ამიერ-კავკასიის კომისარიატის, რომლის ზურგს უკან ხალხი სდგას ისე შეიძლება, რომ ამ ხალხის სისხლი არ დაიღვაროსო. ამის შემდეგ ეშელონების უმრავლესობის სულიერი განწყობილებაც შეიცვალა. როგორც ირკვევა ეშელონებში სალდათის ფორმაში გამოწყობილი კუზნეცოვი და სხვა ბალშევიკები ყოფილან.

◆ **ამ. კავკასიის კომისარიატმა** ევ. გეგეჭორი აღჭურვა საგანგებო უფლებებით თფილისში და ამიერ-კავკასიაში რევოლიუციონურ წესრიგის და მშვიდობიანობის დასაცავათ. ამ მიზნით მის განკარგულებაშია ამიერ-კავკასიაში არსებული ყველა შეიარაღებული ძალები.

◆ **ავლაბრის** ქართულ უფასო წიგნთსამკითხველოს სასარგებლოთ 21 იანვ. დადგმულ წარმოდგენიდან შემოვიდა სულ 441 მ. 5 კ., გასავალი იყო 295 მ., წმინდა შემოსავალი დარჩა 146 მ. 5 კაპ. გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრეს, რომელმაც უფასოთ გამართა ეს წარმოდგენა.

◆ **ქართული კლუბი.** კვირას, 4 თებერვალს 1918 წ. ქართველ მხედართა კავშირი თვის ნივთიერ ფონდის გასაძლიერებლათ გამართავს მეტათ საინტერესო „საღამო მეჯლის".

◆ **უმუშევარნი.** ფრონტზე სხვადასხვა დაწესებულებათა გაუქმებისა და სამუშაოთა შეჩერების გამო თფილისში აუარებელი უმუშევრები იყრიან თავს.

◆ **ახალგაზრდა მუშათა შორის.** ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტი უკვე შეუდგა ახალგაზრდა მუშების შეკავშირებას, სამაცადინო წრეების დაარსებას. ამ მიზნით დღეს, 2 თებერვალს ნაძალადევის თეატრში საღამოს 4 საათზე მოწვეულია პირველი რაიონის (ნაძალადევის) ახალგაზრდა მუშებისა და ნოქარ-შეგირდების საერთო კრება. საჭიროა ამ კრებას დაესწროს ყველა ახალგაზრდა მუშა.

◆ **ჯარში გაწვევა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი 1899 წ. დაბადებულთა 6 თვით ჯარში გაწვევის შესახებ. გაანთავისუფლებენ მხოლოდ იმათ, ვინც ოჯახური მდგომარეობით სარგებლობდა პირველი ხარისხის შეღავათით. დეკრეტი ხვალინდელ ნომერში დაიბეჭდება ვრცლათ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზათა** უფროსი ატყობინებს საგზაო კომისარს, რომ მან რკინის გზებზე გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამიერ-კავკასიის კომისარიატის 17 იანვ. დადგენილების თანახმად სამხედრო-სახალხო დამცველი რაზმი უნდა დაიშალოს. რკინის გზებზე წესრიგის დასაცავათ, მოსამსახურეთა და მგზავრების პირად ცხოვრების და საქონლის დასაცავად დგება სარკინიგზო მილიცია. სამხედრო-სახალხო რაზმის დაშლა სარკინიგზო მილიციის მოწყობასთან ერთად უნდა მოხდეს. მილიციონერები ნაწილდებიან სადგურებზე რაიონულ უფროსების განკარგულების ქვეშ, რომელთა რიცხვი ოცს უდრის.

◆ მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ხვალ, 2 თებერვალს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქუჩა, № 91) შესდგება ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: ამიერ კავკასიის სეიმი (მომხსენებელი ამხ. სმირნოვი), ზავის საკითხი (ამხ. მელ. რუსია), დამფუძნებელი კრების დამატებითი დეპუტატების შესახებ და დელეგატების არჩევნები პარტიულ ყრილობაზე.

◆ **საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივი კომისია** სთხოვს აღნიშნულ საგანთა მასწავლებელთ და სპეციალისტებს მობრძანდენ კვირას, 4 თებერვალს, დილის 10 საათზე პირველ გიმნაზიაში კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

◆ **სწავლის დაწყება.** მეცადინეობა პირველ სავაჟო გიმნაზიაში დაიწყება 5 თებერვალს, დილის ცხრა ნახევარ საათზე.

### კრებები და მიტინგები.

კვირას, 4 თებერვალს, დღის 12 ს. დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. განსახილველი საგნები: 1) მოხსენება თფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ; 2) სექციების წარმომადგენლების შესახებ; 3) საზოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება; 4) 500.000 მ. სესხის აღება; 5) მიმდინარე საკითხები.

— დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპ. საბჭოთა ცენტრის სხდომა.

— დღეს, ორ თებერვალს მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში საღამოს 6 საათზე მოწვეულია არა ჩვეულებრივი კრება მეოთხე რაიონის სოც.-დემ. კოლექტივისა. ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ გამოცხადდენ. რამდენი წევრიც გამოცხადდება, კრება მაინც კანონიერათ ჩაითვლება.

— 2 თებერვალს, დილის 10 საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ ქართული ენის და ლიტერატურის კომისიის სხდომა. ხსენებული კომისია იწვევს ქართული ენის და ლიტერატურის და აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

— 2 თებერვალს, დილის 10 ს., 1-ლ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მათემატიკის ქართველ მასწავლებელთა კრება.

— 2 თებერვალს, საღამოს 5 ს., ვერის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის შენობაში (არაგვის ქ.) დანიშნულია სოც.-დემოკრატ მასწავლებელთა კრება.

## ქუთაისის ამბები

28 იანვარს ქუთაისში მოხდა ჯარისკაცთა საბჭოს ახალი არჩევნები. საბჭოში აირჩიეს სულ 89 წევრი. აქედან დიდი უმრავლესობა ბალშევიკებია. აღმასრულებელ კომიტეტში გავიდა 25 კაცი. თავმჯდომარეთ ჯარისკაცი მეხუზლა იქმნა არჩეული, თავმჯდომარის ამხანაგათ პოდპორუჩიკი ბუაჩიძე და ჯარისკაცი აბზიანიძე. ახალმა საბჭომ ამავე დღეს გადასწყვიტა სამი საკითხი: 1) რომ ყველა ოფიცრებმა 1 თებერვლამდის აიხადონ პოგონები, 2) ოფიცრებს ჯამაგირები მიეცეთ თანახმად თანამდებობისა და ამასთანავე ეთხოვოს კომისარიატს, რომ საქმე ჯამაგირების განსაზღვრისა შეიმუშაოს, და 3) გაატანონ ყველა ჯარისკაცებს თოფები. მხოლოდ ეს ეცნობოს იმ სოფლის კომისრებს, სადაც ხსენებული ჯარისკაცები იცხოვრებენ, რომ თოფები არ დაიკარგოს. („ს. რ.")

## თფილისელ ბალშევიკების „საქმიანობა"

თფილისელ ბალშევიკებს მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია საკმაოთ მომზადებული აღმოჩნდა, მან სისწორით შეიგნო დღევანდელ რევოლიუციის მიზნები, ზურგი შეაქცია სახალხო კომისართა საბჭოს და თავის ნდობა გამოუცხადა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელსაც აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

რა ზომებს, რა საშუალებებს არ მიმართეს ბალშევიკებმა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ თავის ბატონობა განემტკიცებიათ, მაგრამ ყველა მათი ცდა, მათი გამოსვლები სასტიკი დამარცხებით დასრულდა. ბოლოს ბალშევიკებმა უკანასკნელ ხერხს მიმართეს. აიღეს და კავკასიის საგანგებო კომისარათ სტეფანე შაუმიანი გამოაცხადეს. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მიერ არჩეულ მთავრობას „მაღლიდან" დანიშნული პირი დაუპირდაპირეს. რა ვუყოთ, რომ თვით დემოკრატია არ იზიარებს ბატონ ს. შაუმიანის შეხედულებას, არ ირჩევს მას თავის მთავრობათ. მიზანი ამართლებს საშუალებებს—და ბალშევიკები აბა რისი ბალშევიკები იქნებოდენ, თუ ამ დებულებას სისწორით არ დაიცავდენ. მაგრამ მკითხველებმა კარგათ იციან, თუ როგორ მოსტყუვდენ აქაც ბალშევიკები და როგორ სამარცხვინოთ დასრულდა მათი ეს გამოსვლაც.

„საგანგებო კომისარი", რომელიც ამაყად აცხადებდა—ჩემი მისამართი ასეთია და ამიერიდან ყველამ მე მომმართეთო,—მეორე დღეს სადღაც მიიმალა. გულუბრყვილო მოქალაქე, ალბათ, ამაოთ მიმართავდა მას დახმარებისათვის ნაჩვენებ მისამართით...

ბალშევიკები შეეცადენ ამ სამარცხვინო და თან სასაცილო დამარცხების მიჩქმალვას. გააჩაღეს დემაგოგიური აგიტაცია ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ. შეუდგენ პროტესტების, რეზოლიუციების შეგროვებას. ჯერ იყო და თავის მკითხველები უსირცხვილოთ მოატყუილეს,—მუშათა მიტინგმა მთავარ სახელოსნოში ჩვენი რეზოლიუცია მიიღოო. ნამდვილათ კი, ხსენებულ მიტინგმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო ამხ. კარლო ჩხეიძის რეზოლიუცია, რომელიც უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ამით, ალბათ უნდოდათ ეთქვათ: შეხედეთ თფილისის პროლეტარიატი სტ. შაუმიანის რეზოლიუციას იღებს, ცხადია მის პოლიტიკას უჭერს მხარსო. ამნაირათ ცდილობდენ ალბათ ნიადაგი მოემზადებიათ სტ. შაუმიანის „გაკომისარებისათვის", მაგრამ მალე თვით ბალშევიკებისათვისაც გამოირკვა, თუ ვის უჭერდა მხარს თფილისის და საერთოთ ამიერ კავკასიის პროლეტარიატი. ბალშევიკებმაც დაინახეს, რომ ისინი გარიყულნი დარჩენ, რომ ისინი აქ მართლაც უჯარო სარდლების მდგომარეობაში იმყოფებიან, რამაც აიძულა მათი „საგანგებო კომისარი" ლენინის მიერ ბოძებულ თანამდებობაზე ხელი აეღო და სადღაც მიმალულიყო.

ბალშევიკები მაინც არ დაიბნენ. თფილისის სხვადასხვა დარგის მუშები პროტესტს აცხადებენ ს. შაუმიანის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის გამო და ნდობას უცხადებს მასო,—სწერდენ ისინი.

„კავკაზსკი რაბოჩი" დიდი რიხით აცხადებდა, ტყავეულობის მუშებმა მიიღეს საპროტესტო რეზოლიუცია და ნდობა გამოუცხადეს სტ. შაუმიანსო.

ვინ მიიღო ეს რეზოლიუცია, როგორია ტყავეულობის მუშების შეხედულება?

აი რას სწერს ამის შესახებ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის და თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანო „იზვესტია" (№ 25)

„გამოირკვა, (პროფეს. კავშირთა თფ. საბჭოს და კავკასიის პროფეს. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე), რომ ტყავეულობის მუშათა პროფესიონალურ კავშირის 1200 წევრებთაგან კრებას, რომელმაც საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება დაადგინა, დაესწრო მხოლოდ 300-ამდე წევრი. გაფიცვის შესახებ საკითხის გადაჭრის დროს კი კრებაზე მხოლოდ 150-ამდე წევრი იყო. 30 იანვარს ტყავეულობის მუშათა ერთმა ნაწილმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია პოლიტიკანების მიერ გადადგმულ გამთიშველ ნაბიჯის წინააღმდეგ და უარი განაცხადა გაფიცვაში მონაწილეობაზე"...

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ თფ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და კავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს აღმას. კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე თითქმის ყველა ორატორები ჰკიცხავდენ ტყავეულობის მუშათა ერთი ნაწილის მოუფიქრებელ ნაბიჯს, რომელიც თიშავს პროფ. კავშირებს და კაპიტალისტების სასიხარულოთ აუძლურებს მუშათა კლასს ეკონომიურ ბრძოლაში. მხოლოდ კავშირის ზოგიერთი წევრები იწონებდენ გაფიცვის შესახებ დადგენილებასო,—ამბობს გაზეთი და დასძენს: „გამთიშავთ დამცველებს, რომლებიც ხანდისხან ასე თავგამოდებული დამცველები არიან საბჭოებისა და მათი სუვერენობისა პოლიტიკაში, სრულებით დაავიწყდათ, რომ მუშათა კლასის პოლიტიკურ გამოსვლებს უნდა ხელმძღვანელობდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო".

შეერთებულმა კრებამ დაჰგმო ტყავეულობის მუშათა ნაწილის სეპარატიული გამოსვლა და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „თფ. პროფ. კავშირთა საბჭომ და კავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ერთი დღის პოლიტიკურ გაფიცვის შესახებ, რომელიც 31 იანვრისათვის გამოაცხადა ტყავეულობის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ერთმა ნაწილმა შამხორის ამბების დამნაშავეთა და ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან მოქალაქე შაუმიანის გაძევების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ და იღებს რა მხედველობაში, 1) რომ საერთო გაფიცვის გამოცხადება საბჭოს ზურგს უკან ცალკე კავშირის მიერ არის ნაბიჯი, რომელიც არღვევს პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობას და ასუსტებს კაპიტალისტების იერიშების წინააღმდეგ მუშათა კლასის საბრძოლველ ძალას; 2) რომ გაფიცვის გამოცხადება მიიღო კავშირის წევრთა უმცირესობამ, რამაც უკვე გამოიწვია კავშირის გათიშვა; 3) რომ პოლიტიკურ გაფიცვის შესახებ მუშებისადმი მოწოდება უნდა გამოდიოდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდან, რომელიც აერთიანებს თფილისის მთელ მუშათა კლასს და ხელმძღვანელობს მას რევოლიუციონურ ბრძოლაში,—საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ტყავეულობის მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრთა ნაწილის მოწოდება გაფიცვის შესახებ აღიარებულ იქნას აუცილებლათ პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის დარღვევისაკენ მიმართულათ და, ენერგიულათ კიცხავს რა ამ გამთიშავ ნაბიჯს, ამხანაგ ტყავეულობის მუშათა დადგენილებას გაფიცვის შესახებ აცხადებს გაუქმებულათ. საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს ტყავეულობის მუშათა პროფ. კავშირს ძმური მოწოდებით ნუ გათიშავენ პროფესიონალურ კავშირთა რაზმს და ნუ გადადგამენ მთელი მუშათა კლასისათვის დამღუპველ ნაბიჯებს. ამასთანავე საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს თფილისის ყველა მუშებს და პროფესიონალურ კავშირებს მხურვალე მოწოდებით დადგენ კლასობრივ თვალსაზრისზე და თვითეული თავის გამოსვლა შეუთანხმონ მთელი მუშათა კლასის ინტერესებსა და სურვილებს".

ასეთია საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუცია, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული (მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი).

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ცალკე კავშირის მიერ გაფიცვის გამოცხადება არღვევს პროფესიონალ მოძრაობის მთლიანობას, რომ ასეთი გაფიცვისათვის უნდა მოუწოდებდეს მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოვო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბალშევიკები ამას რას დაგიდევენ. საბჭოებს ისინი იმდენათ უჭერენ მხარს, რამდენათ ეს მათი ინტერესებისთვის არის საჭირო. მოიგონეთ თუნდა ის ბრძოლა, რომელიც ადგილობრივ ბალშევიკებმა გამოუცხადეს თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცალკე დელეგატთა კრების მოწვევით. ამ შემთხვევაშიაც ისინი თავის ინტერესებით უფრო ხელმძღვანელობდენ, ვინემ საერთო საქმის სიყვარულით. ბალშევიკებმაც კარგათ იციან, რომ შეკავშირებულ მუშათა შორის სეპარატიულ გამოსვლებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ რა, დეე დაიღუპოს მუშათა მოძრაობის მთლიანობა, ოღონდ ბალშევიკების ძალა-გავლენას რაიმე მიემატოს!..

და როცა ეს გავლენა ძლიერ სუსტი აღმოჩნდა მუშათა შორის, ბალშევიკებმა სამოქმედო ასპარეზი ქუჩაში გადმოიტანეს.

31 იანვარს ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გამართეს მიტინგები. მაგრამ ეს „მიტინგები" ისე ჩატარდა, მათ ისეთი საცოდავი შთაბეჭდილება დასტოვეს, რომ, ვფიქრობთ, დიდ სამსახურს ვერ გაუწევდენ „საგანგებო კომისარის" ავტორიტეტს. ყველა ირონიული ღიმილით უვლიდა გვერდს ამ „მიტინგებს", რომლებმაც სავსებით გამოაშკარავეს ბალშევიკების სიუძლურე. თუმცა ზოგიერთები გაიძახოდენ „კეცე შაუმიან"-ო (გაუმარჯოს შაუმიანსო) და ალექსანდრეს ბაღში ამიერ კავკასიის კომისარიატის საწინააღმდეგო რეზოლიუციაც კი მიიღეს, მაგრამ სწორეთ იმ დროს, როცა ამ რეზოლიუციას „მთვრალი დარბევის" გმირები აძლევდენ ხმას, გოლოვინის პროსპექტზე რევოლიუციონურ სიმღერის გუგუნით მწყობრათ ჩამოიარა მრავალრიცხოვანმა რევოლიუციონურ რაზმმა, რომელიც პროვინციიდან ჩამოვიდა თფილისში...

## რუსეთის ამბები

**საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები.** მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტის არჩევნებზე მენშევიკებმა გამოაქვეყნეს თავიანთი დეკლარაცია თუ რა მიზნით ღებულობს ფრაქცია არჩევნებში მონაწილეობას. მენშევიკებიდან აირჩიეს: მარტოვი, დანი, ჩერევანინი და სუხანოვი.

**ს.-რევოლიუციონერების პროტესტი.** საბჭოთა ყრილობის ს.-რევოლიუციონერთა ფრაქციამ პროტესტი გამოაქვეყნა იმ შევიწროების წინააღმდეგ, რომელიც მას მიაყენეს ყრილობაზე. პრეზიდიუმი ფრაქციის წარმომადგენლებს სიტყვას ართმევდა და მრავალ სხვა შევიწროებას აყენებდა. ყველა ამ შევიწროებასთან ყრილობაზე დაატუსაღეს ფრაქციის თავმჯდომარე ხომიჩევი.

**სატუსაღოდან განთავისუფლება.** პეტრე-პავლეს ციხიდან გაანთავისუფლეს მენშევიკები ბოგდანოვი, ერმოლაევი, დ. ვაინშტეინი, ლევიცკი და სხვები.

**უმუშევრობა.** მოსკოვში უმუშევართა რიცხვი დღითი დღე მატულობს. დახელოვნებულ მუშებშიაც კი 60.000 უმუშევარია დღეს.

**წარმოების სრულიად შეჩერება.** პერმში ფულების უქონლობის გამო წარმოება სრულიად შეჩერდა, ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები დაიხურა. ნახშირის და ნავთის უქონლობის გამო სულ ყველა ქარხნებში თითქმის მუშაო-

ბა შესწყდა. უმუშავრებში შიმშილობა დაიწყო.

**ბეგარა კაპიტალისტებზე.** ეკატერინბურგში დეპუტატების საბჭოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა ადგილობრივ კაპიტალისტებს ერთი მილიონი მანეთი დაადვა ერთდროული გადასახადი. და თვით მათ მიანდო თავიანთ შორის განაწილება. ზოგიერთებმა შეიტანეს 119 ათასი მანეთი, ხოლო ვინც უარი სთქვა, სატუსაღოში ჩასვეს.

**დეპუტატთა საბჭოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი.** პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი კრება შესდგა თავრიდის სასახლეში. პრეზიდიუმში აირჩიეს 8 ბალშევიკი და 5 მემარცხენე ს.-რევოლიუციონერი. სპირიდონოვას წინადადებით ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს სვერდლოვი.

# უცხოეთი

**მდგომარეობა გერმანიაში.** როგორც გერმანიიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, იქ ჯერ კიდევ დარღვეული მშვიდობიანობა ვერ აღუდგენიათ. გაფიცვა თუმცა აქა იქ სწყდება, მაგრამ ერთ ალაგას თუ სწყდება, მეორე ალაგას იწყება. თვით ბერლინში ხშირი შეტაკებაა პოლიციელებსა და მუშებს შორის, რომლებიც ცდილობენ ტრამვაის მიმოსვლის შეწყვეტას. დემონსტრაციები გრძელდება. მიუნხენში დაატუსაღეს დამოუკიდებელი ს.-დემოკრატი ცნობილი მწერალი კურეისვერი. ბერლინში დაატუსაღეს 130 კაცი. პოლიციის დასახმარებლათ ჯარები გამოიწვიეს. ბერლინში კონფისკაცია უყვეს მოწოდებებს, მათ შორის აღმოჩნდა ბალშევიკების საზღვარგარეთის მთავრობის მოწოდება, 1917 წელს ნოემბერში გამოცემული ამ სათაურით: „რუსეთის მუშათა მთავრობისთვის და ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წინაალმდეგ“. მთავრობასა და გაფიცულებ შორის მოლაპარაკებამ ვერაფერი ნაყოფი გამოაღო, რადგან მთავრობას არ უნდა პირდაპირ გაფიცულებთან იქონიოს მოლაპარაკება და გაფიცულებს კიდევ არ უნდათ მათ მაგიერ სხვებმა ილაპარაკოს.

მხოლოდ მიუნხენში, კელნში და დანციგში დასთანხმდა მთავრობა პირდაპირ გაფიცულებს მოელაპარაკოს.

ბერლინში ყველა ფაბრიკები, რომლებიც სამხედრო საქმისთვის საჭირო საგნებს ამზადებდენ სამხედრო მთავრობის განკარგულებაში გადავიდა. ის მუშები, რომლებიც რამდენიმე დღეში მუშაობას არ შეუდგებიან, სამხედრო სამართალში მიცემით და ფრონტზე გაგზავნით ემუქრებიან.

**ბერნშტეინის წერილი.** გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის ცნობილმა წევრმა ბერნშტეინმა წერილით მიმართა რუსეთის სოციალისტებს. ამ წერილში ის აშკარათ ეუბნება რუს სოციალისტებს, რომ ბალშევიკების მიერ გერმანიასთან დაწყებულმა საზავო მოლაპარაკებამ გერმანიაში სოციალისტების პროპაგანდას დიდი ვნება მოუტანა და პირდაპირ მახვილი ჩასცა გულში.

**გერმანელ სოციალისტების რეზოლიუცია.** ბერლინის სოციალისტების ყრილობაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც სოციალისტები მოითხოვენ გერმანიის მთავრობიდან გადაჭრილი პასუხი მისცეს ომის მიზნების შესახებ და შინაური რეფორმები საჩქაროთ შემოიღონ.

**სამხედრო სამუშაოზე გაწვევა.** ამსტერდამიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ნემცებმა ბრძანება გამოსცეს, რომლითაც 13 წლიდან 60 წლამდე ყველა მამაკაცებს იწვევენ სამხედრო სამუშაოზე.

**ავსტრიის სამინისტროს გადადგომა.** ავსტრიის სამინისტრო გადადგა, მისი გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ დროებით ბიუჯეტის მიღების დროს მას დიდი ოპოზიცია აღმოუჩნდა.

**ამერიკის გემის დაღუპვა.** ირლანდიის ნაპირების ახლო ტარპედით დაღუპეს ამერიკის გემი „ტოსკანია“, რომლითაც ჯარები გადაჰყავდათ ევროპაში. 2397 მგზავრიდან დაიღუპა 210, დანარჩენები ინგლისის გემებმა გადაარჩინეს.

# სურსათის საკითხი

ომიანობით გამოწვეულ მიმოსვლის არევდარევამ, მუშა ხელის ნაკლებობამ და მთელი ეკონომიური ცხოვრების დაშლა-დარღვევამ ძალზე გაამწვავა სასურსათო კრიზისი. რუსეთი ამ მხრით პირდაპირ საბედისწერო მდგომარეობაში ჩავარდა, მას შიმშილის აჩრდილი დასტრიალებს თავს და განადგურებას უქადის.

სასურსათო კრიზისმა დააჩქარა რევოლიუცია, სასურსათო კრიზისივე უმხადებს მას საფრთხეს. ტყვილა კი არ გაისმა მუქარის ხმა: შიმშილის გაძვალტყავებული ხელი ჩააქრობს განმათავისუფლებელ მოძრაობას, დაასამარებს რევოლიუციასო.

და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციის ბედი, მისი მომავალი მჭიდროთ არის დაკავშირებული სასურსათო საკითხზე.

და თუ ასეთია მდგომარეობა საერთოთ რუსეთში, რა უნდა ითქვას ამიერ-კავკასიაზე, რომელიც მშვიდობიანობის დროსაც შემოტანილ სურსათით იკვებებოდა. აქ სასურსათო კრიზისი უფრო საგრძნობი გახდა და ადგილობრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ძალებს დიდი მაცადინობა და შრომა დასჭირდათ, რომ მოსალოდნელი შიმშილობა თავიდან აეშორებიათ.

მაგრამ ბალშევიკების გამოსვლით შექმნილ პირობებმა სავსებით მოსწყვიტა ამიერ-კავკასია რუსეთს. ჩრდილოეთ კავკასიაში გამეფებულ ანარქიამ, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მომხდარმა ამბებმა სასურსათო კრიზისი უფრო გაამწვავა, გააღრმავა. ამიერ-კავკასიას საბედისწერო კატასტროფა მოელის. სასურსათო გამგეობის, თფილისის ქალაქის თვითმართველობის და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიერ მიღებულ ზომების განხორციელებას ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ. ჯარის ჩრდილოეთისაკენ მოძრაობამ გამოიწვია ვაგონების ნაკლებობა, რკინის გზაზე მიმოსვლის სრული არევ-დარევა. საქართველოს სამხედრო გზით სურსათის შემოტანა შეუძლებელი შეიქნა კავკავში და, საერთოთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ამბების გამო. ზღვით სურსათის შემოტანასაც ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ. არ არის ფული, რომ შესაძლებელი იყოს სატრანსპორტო გემების გასტუმრება და სხ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ჟამათ განზრახულია ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცების ზღვით გამგზავრება, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სურსათის შემოტანა ზღვითაც მოუხერხებელი გახდება.

ამნაირათ, ამიერ-კავკასია პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. შინ სურსათი არ მოიპოვება, გარედან მის შემოტანას ათასგვარი დაბრკოლებები ეღობება წინ. არ ვიცით რას გვიქადის ხვალინდელი დღე. ასეთი მდგომარეობით სარგებლობენ ბნელი ძალები, ხალხს აღელვებენ, რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ამხედრებენ.

რევოლიუციას ამ ნიადაგზე საფრთხე მოელის.

სად არის ხსნა?

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ დღევანდელი კრიზისის მთავარი მიზეზი საერთაშორისო ომია. მისი მოსპობა, ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენა მოითხოვს ომის მოსპობას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს არ უნდა მივიღოთ სხვა ხასიათის ზომები. სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენ თვით უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავს. უნდა მოვახდინოთ ძალთა მობილიზაცია, რომ რამდენიმეთ მაინც შევამსუბუქოთ დღევანდელი მძიმე მდგომარეობა.

ჯერ კიდევ რევოლიუციის დაწყებამდე ქუთათური გაზეთი „ახალი კვალი“ მოითხოვდა საზოგადოებრივ ორგანიზაციების თათბირის მოწვევას, რომელსაც უნდა შეემუშავებია ზომები სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ასეთ თათბირის მოწვევას გვიკარნახებს თვით მდგომარეობა. საჭიროა საერთო გეგმის შემუშავება, საჭიროა გამორკვევა იმ ზომების, რომელიც უნდა განახორციელოს რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, რომ თავიდან ავიშოროთ მოსალოდნელი უბედურება.

თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სასურსათო საქმის მოწესრიგება, მისი ნორმალურ პირობებში ჩაყენება მოკლე ხანში არ შეიძლება. ამიტომ დღესვე უნდა მივიღოთ აგრეთვე ზომები, რომელიც მომავალში რამდენიმეთ მაინც უზრუნველ გვყოფს სურსათით. ასეთი ზომაა, სხვათა შორის, დათესილ ყანების რაოდენობის გადიდება. ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულში კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა დაადგინა ამ მიზნით გამოიყენოს მუღანოს ველი და ყარაიაზის რაიონი. შესდგა საგანგებო კომისიები.

31 იანვარს შესდგა თათბირი იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ყარაიაზის ველი, რომლის სივრცე 15 ათას დესეტინას უდრის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ზომები უნდა იქნას მიღებული ამიერ კავკასიის სხვა ადგილებშიაც. ყანების დამუშავების დრო ახლოვდება. მუშა ხელის ნაკლებობის გამო მოსალოდნელია ბევრი მინდორი დაუმუშავებელი დარჩეს. სოფლის აღმასრულებელ და საადგილ-მამულო კომიტეტებმა უნდა იკისრონ ამ საქმის მოწყობა. არც ერთი ნაჭერი მიწა არ უნდა დარჩეს დაუმუშავებელი რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. საბედისწერო მომენტი ავალებს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ამ მხრით დიდი უნარი და ენერგია გამოიჩინონ და მიიღონ ყოველივე ზომები, რომ დათესილ ყანების სივრცე გააფართოვონ.

**ვ. ნიკურაძე.**

# რევოლიუციონური რაზმი თფილისში

თფილისიც განსაცდელში ჩავარდა. ანარქია, რომელმაც თავის ალში გახვია მთელი რუსეთი, ამ ბოლო ხანს ამიერ კავკასიაც ემუქრება და რევოლიუციას საფრთხე მოელის. თფილისი, ეს ტვინის მიმცემია მთელ ამიერ-კავკასიის რევოლიუციის, ეს ფოკუსია, სადაც თავს იყრის ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური ძაფები. ამიერ-კავკასიის დემოკრატ. კარგათ იცის, რომ თუ თფილისი ანარქიისა და სამოქალაქო ომის ალში გაეხვია, ამით განსაცდელში ჩავარდება მთელი ამიერ-კავკასია, მას ყოფნა არ ყოფნის საკითხი დაუდგება წინ. და აი, რევოლიუციონურ ორგანიზაციების პირველ მოწოდებისთანავე ამიერ-კავკასიის დემოკრატია, იწევს თფილისისაკენ, შეიარაღებული უდგება დარაჯათ რევოლიუციის ცენტრს. თფილისში მოდიან შეიარაღებული რევოლიუციონური რაზმები. ამიერ-კავკასიის დემოკრატია არ ღალატობს თავის ისტორიულ ტრადიციებს და ერთგულად იცავს რევოლიუციონურ საქმეს.

სხვადასხვა რაიონებიდან მოდიან თფილისში შეიარაღებული წითელი რაზმელები. 31 იანვარს 1000 კაცამდე ჩამოვიდა თფილისში ხაშურ-სურამის, ყვირილა-შორაპნის და სხვა რაიონებიდან.

შუადღისას ჩამოვიდა ყვირილა-შორაპნის რევოლიუციონური რაზმი. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა, როდესაც ეს რაზმი მწყობრათ, წითელ დროშებით, რევოლიუციონურ სიმღერებით მიემართებოდა სასახლისაკენ. წინ მიუძღოდა ქ. ყვირილის დეპოს მუსიკა. რაზმი სასახლის თეთრ დარბაზში შევიდა. აქ მას მიესალმენ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი:

**აკაკი ჩხენკელი.** ამხანაგებო! მოგესალმებით ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელით... თუ დღემდის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის რევოლიუციონურ ალღოს მეოხებით ჩვენი რევოლიუცია არავითარ საფრთხეს არ განიცდიდა, დღეს უპასუხისმგებლო ჯგუფთა მეოხებით დადგა რევოლიუციისათვის, პირდაპირ ვიტყვი მე, განკითხვის დღე: დღეს შესაძლებელია დაიღუპოს რევოლიუციით მოპოვებული ყველა თავისუფლებები. ანარქია, სამოქალაქო ომი, რომელიც რუსეთში მძვინვარებს, ჩვენც საფრთხეს გვიმზადებს. ჩვენ უნდა დავიცვათ ადგილობრივათ რევოლიუცია, ჩვენ უნდა დავუდგეთ დარაჯათ რევოლიუციის მთლიანობას. ამისთვის მოგიწვიათ აქ თქვენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა და მე დარწმუნებული ვარ, თქვენ პირნათლათ შეასრულებთ თქვენს რევოლიუციონურ მოვალეობას. თქვენ იცით, რომ იმ ანარქიაში, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა, ამიერ-კავკასია გამონაკლისს შეადგენს. ეს მიეწერება თქვენს, ამიერ-კავკასიის დემოკრატიის შეგნებას.

ამის შემდეგ მოხუცი, გამოცდილი ბელადის—სილიბისტრო ჯიბლაძის ტრიბუნაზე ასვლას ტაშის ცემითა და ოვაციებით ხვდება რაზმი, რომლის რევოლიუციონური აღტაცებით შეზავებული სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე. ვის გულში არ აღაგზნებს რევოლიუციონურ ალს მისი სათნო სიტყვები!.. იგი ს.-დ. პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით ესალმება რაზმს. ამხანაგებო, ამბობს ის, რევოლიუცია განსაცდელშია! იგი დღეს მოითხოვს ჩვენგან მსხვერპლს. ომი გათავდა, მაგრამ საგარეო ომის ნაცვლათ ეხლა შინაური ომი გაიმართა, ომი სამოქალაქო. სამოქალაქო ომის ალი, რომელიც დღემდე კავკასიონის ქედის აქეთ ვერ გადმოსულიყო, დღეს ამიერ კავკასიასაც ემუქრება. ამხ—ბო! თქვენ გარწმუნებენ, რომ დღეს ომი კლასთა შორის სწარმოებს, პროლეტარიატი ებრძვის ბურჟუაზიას, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ არის. დღეს ომი თვით დემოკრატიაში, მის ნაწილებს შორის სწარმოებს. ბურჟუაზია კი ამ დროს ხითქითებს... იგი უცდის, როდესაც რევოლიუციონერები თვით ჩაახშობენ რევოლიუციას, რომ შემდეგ მოვიდენ და თავისი ბატონობა დაამკვიდრონ. ნუ ვიზამთ ამას! მე მახსოვს, როგორ თავგანწირვით იცავდა ჩვენი დემოკრატია რევოლიუციას 1905 წელს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დღესაც ღირსეულათ შეასრულებთ რევოლიუციონურ მოვალეობას. მე მრწამს, რომ თქვენ არ დაიხევთ არავითარ საშიშროების წინაშე. გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის თვით შეგნებას!.. ათავებს მოხუცი ბელადი და რაზმი რევოლიუციონურ ალით ანთებული დაუსრულებელი ტაშისცემითა და ოვაციებით აჯილდოებს ჭაღარას... თავის მხრივ რაზმი ამხ. ზ. გურულის პირით რევოლიუციონურ ფიცს სდებს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს რევოლიუციას. ან გამარჯვება, ან სიკვდილი—ამბოსს რაზმის სახელით ის.

ამის შემდეგ თფილისის წითელ გვარდიის სახელით რაზმს ესალმება ამხ. ვ. ჯუღელი. დღეს არ არის დრო ბევრი ლაპარაკისა. დღეს ჩვენ პოზიციებზე ვდგევართ. ს.-დემოკრატია ყოველთვის წინააღმდეგი იყო სისხლის ღვრის, მაგრამ როდესაც ამას აუცილებლობა გვიკარნახებს, როდესაც რევოლიუციის კეთილდღეობა ჩვენგან სისხლის ღვრას მოითხოვს, ჩვენც უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ნამდვილ რევოლიუციონერს შეეფერება. მე იმედი მაქვს, რომ პროვინციებიდან ჩამოსული წითელი გვარდია შეუერთდება თფილისის წითელ გვარდიას და მასთან ერთათ არავის მისცემს უფლებას ბინძური ხელებით რევოლიუციის წმიდათა წმიდა შეღახოს. გაუმარჯოს თქვენს ჩამოსვლას ამ წმიდა იდეებისათვის საბრძოლველათ! გაუმარჯოს დიდებულ რუსეთის რევოლიუციას“!

რაზმი ხანგრძლივი ტაშისცემით აჯილდოებს ორატორს.

ჩვენი დემოკრატია გრძნობს, რომ რევოლიუციის საქმე, ეს მისი საკუთარი საქმეა. მან იცის, რომ რევოლიუციით მიიღებს იგი ყოველგვარ თავისუფლებებს. თუ რევოლიუცია დამარცხდა, მას თვალწინ დაუდგება თვითმპყრობელობის აჩრდილი. ეს შეგნება უტყუარი გარანტიაა იმის, რომ ამიერ კავკასიის რევოლიუციას მძლავრი და თავდადებული დარაჯი ჰყავს.

**მ. ჩ.**

# ტფ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთადმი

ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილებით წარსული 1917 წლის 1 ოქტომბრიდან სახალხო მასწავლებლებს ძირითად ჯამაგირათ მიეცემათ თვეში 120 მან. და სამხედრო დამატების სახით 90 მან. ამნაირათ სახალხო სკოლის მასწავლებლის ქონებრივი მდგომარეობა წარსულთან შედარებით თვალსაჩინოთ უმჯობესდება, რაც შეძლებას აძლევს მას გააუკეთესოს თავისი ნივთიერი მდგომარეობა; ეს გარემოება კი, თავის რიგად, ავალებს მასწავლებლებს მეტი ყურადღება, ზრუნვა და დრო მოახმარონ თავის სკოლას.

მოქალაქის მოვალეობა, მოვალეობა სამსახურისა და ის ხანა, რომელშიაც ჩვენ ვსცხოვრობთ, უფრო მეტად ვალდებულათ ხდის თვითეულ სახალხო მასწავლებელს, რომელსაც ესმის თავისი მოვალეობა და დანიშნულება, მოუცილებლათ იდგეს მიჩენილ ადგილზე: სოფლელთა მასსის ხელმძღვანელათ და მოზარდი თაობის აღმზრდელათ. ამ ჟამად, როდესაც საზოგადოებრივი-სახელმწიფოებრივი ყველა დარგები განიცდის მძიმე კატასტროფიულ კრიზისს მთელი ჩვენი მხარე და კერძოთ სოფელი საჭიროებს ინტელიგენტ მუშაკებს; ამიტომ არ ეპატიება სახალხო მასწავლებელს სოფლისა და სკოლის ღვთის ანაბარათ მიგდება და თავისი პირდაპირი მოვალეობის გარეშე მუშაობა...

მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნება!

თვითეული მუშაკი მიჩენილ ადგილზე!

აი დევიზი თავისუფალ ქვეყნის ყოველი შეგნებული მოქალაქისა და, თუ რომელსამე სახალხო მასწავლებელს ეს ვერ შეუთვისებია, აშკარაა, მას ადგილიც არ უნდა ჰქონდეს მასწავლებელთა შორის.

სამწუხაროდ, კომისიას აქვს ცნობები, რომ ზოგიერთები მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებიან მასწავლებლათ და თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას ა. ი. ასრულებენ.

ასეთ ამბებს ბოლო უნდა მოეღოს.

მოვუწოდებთ თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლებს იდგნენ თავიანთ მიჩენილ ადგილზე და პატიოსნურათ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი.

თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების გამგე-კომისია თავის მოვალეობათ სთვლის წინდაწინვე გააფრთხილოს მასწავლებლები, რომ იმათ, რომელნიც თავს არიდებენ პირდაპირი მოვალეობის ასრულებას, კომისია იძულებული იქნება დაითხოვოს და მათ ადგილზე მოიწვიოს ისეთები, რომელთაც სურვილი აქვთ პატიოსნათ იმუშავონ ხალხისა და ახალთაობის სასარგებლოთ.

კომისიის თავმჯდ. **პ. ჩარექიშვილი.**

მდივანი **ვას. ჯაფარიძე.**

# წერილი სპარსეთიდან

(კიდევ აქაური პროვოკატორების შესახებ)

მკითხველებს ეხსომებათ წერილები სპარსეთიდან პროვოკატორ ზაიარნის, რაზუმოვსკის და კომპ. შესახებ და ამიტომ აქ არ შეუდგები მათი „მოღვაწეობის“ აღწერას. ნათქვამია: „ჩვეულება რჯულის უმტკიცესია“ და ხსენებულმა ვაჟბატონებმა ვერ მოისვენეს და ისე დღე არ გავიდოდა, რომ რაიმე პროვოკაციული გამოსვლები არ მოეწყოთ. სად. პადგურსკაში, სადაც მთელი თავრიზის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების დიდი უმრავლესობა იმყოფება, სწორეთ პროვოკაციული მიზნით ზოგიერთ ვაჟბატონებმა არხი-პროვოკატორ ზაიარნის და სხვების წაქეზებით მოიწვიეს კრება 10 იანვარს. ვინ მოსთვლის რა სისულელე არ წამოროშეს ამ კრებაზე, მაგრამ ჩვენ სულგანაბული შევსცქეროდით უპასუხისმგებლო „ორატორებს“, რათა არავითარი საბაბი არ მიგვეცა „საგანგებოთ“ მოწვეულ გმირებისათვის, მაგრამ ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, ისე მოუვიდათ მადა გახსნილ აგიტატორებს. მიიტანეს იერიში ამხ. მელიკ ასლანოვზე, ბეგლიარ ბეგოვზე და ყველა ორგანიზაციებზე, ს.-დ. ორგანიზაცია, მუსულმანების მუშათა პარტია, ცენტრალური კომიტეტი და გამოაცხადეს გზის მმართველების მიერ მოსყიდულებათ. ამ გარემოებამ დიდათ ააღელვა ყველა ამ კრებაზე დამსწრე ამხანაგები და საზოგადო მოღვაწენი, ამიტომ მეორე დღეს დავნიშნეთ დიდი კრება და ყველა ორგანიზაციებმა და შეგნებულმა ამხანაგებმა ერთხმათ დაგმო პროვოკატორების გამოსვლა და ერთ მათგანს, რომელიც კრებაზე იყო სოფრონოვს, სხვები მიიმალენ, სტაცეს ხელი და უნდოდათ გარეთ გაეგდო ხალხს, მაგრამ ისევ ჩვენ მოუწოდეთ წესიერებისაკენ და არ მივაყენებიეთ ფიზიკური შეურაცყოფა, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ყოველივე ველური საშვალებით გვებრძოდენ.

კრებამ ერთხმათ დაადგინა: რადგანაც პროვოკატორები არ ცხრებიან და მათი გამოსვლებით მოსალოდნელია ძმათა შორის უმანკო სისხლი დაიღვაროს, ამიტომ მიანდოს ს.-დ. კოლექტივს დაუყონებლივ პროვოკატორების გასამართლება იმ პირობით, რომ ჩვენ თვალს აღარ დაენახოს აქ იმათი სახეო. ს.-დ კოლექტივმა მოიწვია თავის მხრით პადგურსკაში ყველა არსებული ორგანიზაციების კრება სახელდობრ: ცენტრალური კომიტეტი, მუსულმანების მუშათა ორგანიზაცია, მაშინისტების, კონდუქტორების, კანტორჩიკების, მეისრეების, პროფესიონალური ორგანიზაციის, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და დისციპლინალური სასამართლოს წარმომადგენლების კრება და შეუდგა, რამდენათაც შენობა ნებას აძლევდა ღია კარებში საქმის გარჩევას.

პირველათ გაირჩა მემანქანე სოფრონოვის საქმე. მოისმინა რა კრებამ ბრალმდებლისა, მოწმეებისა და ბრალმდებელის სიტყვები დაადგინა: ვსცნობთ, რა სოფრონოვის გამოსვლას პროვოკაციულათ, რაც მიეწერება მის თავდაუჭერლობას არა წინდაწინ განზრახული მიზნით გამოსვლას, ამიტომ ვგმობთ მის საქციელს და წინადადებას ვაძლევთ ბოდიში მოიხადოს ყველა ორგანიზაციების და განსაკუთრებით ბეგლიარ-ბეგოვთან, რომლის პიროვნებასაც სავსებით შეუფერებლათ შეურაცყოფა მიაყენა. წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ იქნას სამსახურიდანო.

პროვაკატორების საქმენი საგმირონი იმდენათ მრავალ-ფეროვანი და რთული გამოდგა, რომ ამ ღამეს ვეღარ მოვასწარით საქმის გარჩევა, ამიტომ 12 იანვარს მოვიწვიეთ სულით ხორცამდე ავანტიურისტი ზაიარნი. კრებაზე, როგორც იყო, გამოცხადდა, მაგრამ რაკი შეატყო ცუდათ ქონდა საქმე, სასამართლოს მიმართა: „მე უკრაინელი ვარ, თქვენ არ გაქვთ უფლება მე გამასამართლოთ, აბა გაბედეთ ჩემი გასამართლება“. დაემუქრა უკრაინის რადის სახელით სასამართლოს, მოახეთქა კარები და წავიდა...

ესეც მისი უკანასკნელი პროვაკაციაა, თორემ განა უკრაინის რადა პროვაკატორებს გამოესარჩლება?!

ცხადია, არა და ბ-ნ ზაიარნის ასეთმა საქციელმა უფრო დააინტერესა სასამართლო და შეუდგენ მოწმეების დაკითხვას... რამდენი მოწმე იყო, იმდენი სხვადასხვანაირი ბრალდება დგებოდა ზაიარნიზე და რაზუმოვსკიზე, რომელიც რამდენიმე ტომი გამოვა, მაგრამ აქ მოვიყვანთ ერთ მოწმის ჩვენებას, რასაც სხვებიც ამოწმებენ და რაც საკმარისია იმისთვის, რომ ზაიარნი, რაზუმოვსკი და კომპანია სისტემატიურათ ეწეოდენ პროვაკაციას.

გასანოვი ამბობს: ზაიარნის შესახებ ის ვიცი, რომ როდესაც ს. დ. ორგანინიზაცია დაარსდა აქ, ზაიარნი და კომ. მუდამ წინააღმდეგი იყო ამ ორგანიზაციის და გვეუბნებოდა საჯაროთ აქ ს. დ. ორგანიზაცია კი არა—ქართველების ნაციონალური ორგანიზაციაა, რომლითაც უნდათ რუსები ძ თათრები შეავიწროვონ და თვითონ იბატონონ სპარსეთში. ს. დ. ორგანიზაცია ახალ დაარსებული იყო აქ, როდესაც 25 მუსულმანი დაითხოვეს სამსახურიდან, მაშინ ჩვენ მივმართეთ ს. დ. ორგანიზაციას დახმარებისათვის. გაიგო რა ეს ზაიარნიმ და კომ. გვითხრა: ს. დ. ორგანიზაციამ დაგითხოვათ და თქვენ ისევ მათ მიმართეთ?! არ ენდოთ მათ, თორემ დაიღუპებითო. ჩვენ შეგვეშინდა, გამოვართვით იმავე საათში თხოვნა და დავხიეთ. მაგრამ შემდეგ ისევ ს. დ. ორგანიზაციის დახმარებით მიგვიღეს. ზაიარნის და კომ. პროვაკატორობა არც მაგით განისაზღვრება, როდესაც შეატყო მის ავანტიურას და პროვაკატორობას ბოლო ეღებოდა, დანიშნა ტერორი ორგანიზაციის მამოძრავებელ ამხანაგებზე. თავმჯდომარე ეკითხება: სახელდობრ, ვინ უნდა მოეკლათ.

პირველათ ყაჭიეშვილი, გრიგოლია, შენგელია, კაპანაძე, კონტრიკაძე და გონგაძე.

შეკითხვაზე—ვის უნდა მოეკლა?

კასუმოვი უპასუხებს: იბრაგიმოვსო.

თავმჯდომარე და ხალხიც ეკითხებიან თითქმის ერთხმათ იბრაგიმოვს:

— მართლა უნდა მოგეკლაო.

იბრაგიმოვი იღებს რევოლვერს, აჩვენებს საზოგადოებას და ამბობს:

— დიახ, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ამ რევოლვერით უნდა მომეკლა რისთვისაც ყოველივე აღმატებას მპირდებოდა. თითქმის ერთხმათ ეკითხება ხალხი: მერე რატომ არ მოჰკალით? იბრაგიმოვი უპასუხებს: იმიტომ, რომ ჩვენც ეჭვები შეგვეპარა მაგათ კეთილსინდისიერებაში და ამასთანავე, გვახსოვდა, რომ ამ რვა წლის წინათ, როდესაც სპარსეთის ხალხი გმინავდა დესპოტიზმის ულმობელ ბრჭყალებში, მაშინ 800-მდე ქართველები ჩამოვიდენ აქ მრავალტანჯული ხალხის მონობიდან განსათავისუფლებლათ, რომლებიც მსხვერპლათ შეგვეწირენ ჩვენო. ისინი სოციალ-დემოკრატებს უწოდებდენ თავიანთ თავს და მათი საგმირო სახელი დღესაც სალაპარაკოთ არის ჩვენში. და მგონია არას დროს არ აღმოიფხვრება, მშრომელი ხალხის გულში მათი ხსოვნა და სიყვარულიო, და განა შეგვეძლო ჩვენ ასეთი პარტიის წევრებზე თოფის აღება და მათი სიკვდილი? ეს ხომ იმ ტოტის მოჭრა იქნებოდა, რომელზედაც ვზივართ? ისეთის ენტუზიაზმით ლაპარაკობდა მთარგმნელი ბეგლირ-ბეგოვი, რომ იქ დამსწრე ქართველობა აატრემლა.

რომ ბევრით მკითხველებს თავი არ შევაწყინოთ, მოკლეთ ვიტყვით, რომ ხსენებულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა: დაუყონებლივ ეცნობოს მთელი რუსეთის საზოგადოებას და ორგანიზაციებს დეპეშით და პრესის საშვალებით ზაიარნის პროვაკატორობა. აგრეთვე ეცნობოს ჯარისკაცთა და თავრიზის რკინის გზის ორგანიზაციებს და დაუყონებლივ დათხოვნილ იქნას თავრიზის რკინის გზიდან. დადგენილება მოყვანილია სისრულეში.

**გურული მუშა.**

# მილიციის შტატები ამიერ-კავკასიაში

(ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება).

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივ გარდაქმნის დროს ამიერ-კავკასიის მაზრებში და ოლქებში გაუქმებულ პოლიციის მცველების, ქალაქის პოლიციის და დაღესტნის ცხენოსანთა მილიციის მაგიერ—დაარსდეს ამიერ კავკასიაში, სამაზრო (საოლქო) და საქალაქო მილიცია.

2. ხსენებულ მილიციის შტატები დამტკიცდეს და მოქმედებაში შევიდეს 1917 წლის პირველ ენკენისთვიდან.

3. ბაქოს მილიციის შესანახი ხარჯები, გარდა იმ ჯამისა, რომელიც ეხლა ეძლევა ხაზინიდან (წლიურად 181.700 მ.) და ნავთზე შემოღებულ გადასახადით შეგროვილ ჯამიდან გაეწეროს თვით ქალაქზე.

4. თბილისის მილიციის შესანახი ხარჯები, გარდა იმ ჯამისა რომელიც ეძლევათ ხაზინიდან (229.730 მ.), გაიწეროს ქალაქზე.

5. ამიერ-კავკასიის პირველ და მეორე ხარისხოვან ქალაქების საშტატო ხარჯები მილიციის შესანახად უნდა განაწილდეს თანაბრათ ხაზინისა და შესაფერ ქალაქების შორის.

6. ამიერ-კავკასიის სამაზრო და საოლქო საშტატო ხარჯები მილიციის შესანახავად უნდა გადიხადოს მთლიანად ხაზინამ.

7. საშინაო საქმეთა სამინისტროს კომისრის განკარგულებას მიეცეს ხაზინიდან 4.104.544 მანეთი. აქედან 3.810.051 მან. ამიერ-კავკასიის სამაზრო და საოლქო მილიციის შესანახავად 1917 წლ. ენკენისთვის პირველიდან—ქრისტეშობისთვის 31-ტამდე; 174,768 მან.—პირველ ხარისხოვან ქალაქებს და 119.125 მ.—მეორე ხარისხოვანს.

8. ხარჯების დასაფარავად აღებული სესხი ანაზღაურებულ იქმნეს ახლად გახსნილ კრედიტით.

9. ეს დადგენილება გაზ. „კავკაზ“-ში გამოქვეყნებისთანავე სისრულეში უნდა იქმნეს მოყვანილი.

ხელი მოაწერა: ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ—**ე. გეგეჭკორმა**, დაამტკიცა საშინაო საქმეთა სამინისტროს კომისარმა **ა. ჩხენკელმა.**

კომისარიატის დადგენილებით ამიერ-კავკასიის მაზრებსა და ოლქებში დაინიშნება სულ 57 მილიციის უფროსი, 212 საუბნო კომისარი, 241 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი და 7157 უმცროსი ცხენოსანი მილიციონერი.

ქალაქები დაყოფილია ორ ხარისხად. პირველ ხარისხში მოქცეულია 12 ქალაქი: (ალექსანდროპოლი, ბათუმი, დერბენტი, ელისავეტპოლი, ყარსი, ქუთაისი, ნოვოროსიისკი, პეტროვსკი, სოხუმი, თემირხანშურა და ერევანი).

მილიციონერთა სრული ჯამი 1193 კაცს უდრის. მეორე ხარისხში მოქციუ-

ლია 29 ქალაქი (ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ზაქათალა, ოზურგეთი, ართვინი, ნახიჩევანი, ახალბაიაზეთი, გერუსი, ნუხა, შუშა, არდაგანი, კაგიზმანი, ოლთი, გოკჩა, ლენქორანი, სალიანი, შემახა, ადლერი, გაგრა, გელენჯიკი, სოჭი, ტუაფსე და ხოსტა).

თფილისის გუბერნიაში დაინიშნება 9 სამაზრო მილიციის უფროსი. 37 საუბნო მილიციის უფროსი, 49 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი, 1238 უმცროსი ცხენოსანი. ზაქათალის ოლქში 1 სამაზრო მილიციის უფროსი, 6 საუბნო მილიციის უფროსი, 20 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი და 200 უმცროსი. ქუთაისის გუბერნიაში 7 სამაზრო მილიციის უფროსი, 24 საუბნო, 50 უფროსი ცხენოსანი, 680 უმცროსი ცხენოსანი.

სოხუმის ოლქში 1 სამაზრო მილიციის უფროსი, 4 საუბნო მილიციის უფროსი, 10 უფროსი ცხენოსანი და 200 უმცროსი. ბათუმის გუბერნიაში—2 სამაზრო მილიციის უფროსი, 9 საუბნო, 14 უფროსი ცხენოსანი და 210 უმცროსი.

ბაქოს გუბერნიაში 6 სამაზრო მილიციის უფროსი, 22 საუბნო, 50 უფროსი და 680 უმცროსი ცხენოსანი.

## პროგრამა

საქართველოს სამკურნალო-სასანიტარო ყრილობისა.

**საზოგადო ნაწილი.**

1) საქართველოს ბიუჯეტი საზოგადოთ და კერძოთ სამკურნალო ბიუჯეტი. საქართველოს საერობო ბიუჯეტი და საერობო სამკურნალო ბიუჯეტი.

2) სამკურნალო საქმის მოწყობა საქართველოში პოლიტიკური და ადგილობრივი თვითმართველობის გეგმის მიხედვით.

**შენიშვნა:** მიუცილებლობა ექიმთა სპეციალურათ მომზადებისა სასანიტარო და სამოსამართლო მოღვაწეობისათვის.

3) სამკურნალო სტატისტიკის საქმის მოწყობა საქართველოში.

**სასანიტარო ნაწილი.**

1) ეხლანდელი სანიტარული მდგომარეობა საქართველოს ქალაქებისა და ზომები მის გასაუმჯობესებლათ.

2) სოფლის სანიტარული და სამკურნალო საჭიროებანი და გეგმა მისი მოწყობისა უცხოეთის მაგალითების მიხედვით.

3) სამრეწველო ჰიგიენა.

4) სასკოლო ჰიგიენა.

5) ბავშვთა ავათმყოფობიანობა და სიკვდილიანობა საქართველოში.

6) მალარია, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

7) ტუბერკულიოზი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

8) სიფილისი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

9) ალკოჰოლიზმი საქართველოში და ზომები მის გავრცელების წინააღდეგ.

**სამკურნალო ნაწილი.**

1) საქართველოში არსებულ სამკურნალო დაწესებულებათა ხასიათება და მათი რეორგანიზაცია (მიხეილის საავათმყოფო, საბებიო ინსტიტუტი, პასტერის სადგური, სამხედრო ჰოსპიტალი, სამკურნალოები ქალაქათ და სოფლათ).

2) სამკურნალო დახმარების მოწყობა-მოწესრიგება საქართველოში: ა) დახმარება შინაგან ავათმყოფობით შეპყრობილთ; ბ) ქირურგიული; გ) საბებიო; დ) თვალის ავათმყოფობით შეპყრობილთ; ე) სულით და ნერვების ავათმყოფობით შეპყრობილთ; ვ) კანისა და ვენერიული ავათმყოფობით შეპყრობილთ.

3) საკურორტო საქმის მოწყობა საქართველოში, დახასიათება სამკურნალო ადგილებისა, წყლებისა და ტალახებისა.

4) სააფთიაქო საქმის მოწყობა საქართველოში.

5) კბილების ავათმყოფობის გავრცელება საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

6) უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა საშუალო სამკურნალო პერსონალისა დ სანიტარებისა საქართველოში.

P. S. ყოველგვარი შეკითხვა ყრილობის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ქართული ეროვნული საბჭო, ჯანმრთელობის სექცია, თფილისი ფრეილინის ქუჩა, № 11.

**შენიშვნა:** თანახმათ ჯანმრთელობის სექციისა და საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა ყრილობის წევრათ შეიძლება იქნეს ყოველი ექიმი, კბილის ექიმი, ბეითალი, ფარმაცევტი, ფერშალი, ბებია-ქალი და საზოგადო მოღვაწე, თუ მათ შეუძლიათ ქართულს ენაზე მოხსენების წარმოდგენა ან მსჯელობაში მონაწილეობის მიღება.

## რკინის გზაზე

17 იანვარს მატარებელ № 24 შემდეგი ამბის მოწამე გავხდი. სადგურ ნიგოითიდან დაწყებული თფილისამდე არც კონდუქტორებს და არც ე. წ. კონტროლიორებს ბილეთები არ მოუთხოვიათ. როდესაც მგზავრებმა მოითხოვეს კონდუქტორებისაგან პასუხი, რისთვის არ აკეთებთ კონტროლს ან წესრიგს რატომ არ იცავთო, პასუხათ შემდეგი მიიღეს: მე მეყო, ძმაო, რაც ვიწვალე პოზიციაზე და ეხლა ვერ გენდობიო. ალბათ, ამ ვაჟბატონს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ჯამაგირი აიღოს; დასამტკიცებლათ კონდუქტორთა უყურადღებობისა ვადგენ ბილეთებს სხვადასხვა სადგურებიდან. ეხლა მკითხველი მიხვდეს, რა არის ეს—თუ არა საქმისთვის ხელის შეშლა. მივაქცევთ კონდუქტორების ყურადღებას ამ გარემოებას და ვისიც ჯერ არს იმისასაც. რომ ჩვენი ვალია პირნათლათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. თუ საჭირო იქნება იმ ვაჟბატონის ვინაობასაც ვაცნობთ საზოგადოებას.

ან—შვილი.

## საბურთალო

28 აინვარს მოხდა საბურთალოს თეატრის და ადგილობრივ სამკითხველოს წევრთა შეერთებული კრება.

კრებამ პირველათ განიხილა თეატრის საქმეები. ვინაიდან სარევიზიო კომისიას რევიზიის დათავება ვერ მოუსწრია, ანგარიშების განხილვა გადაიდო შემდეგისათვის. გამგეობის წევრებათ აირჩიეს: ბაქრაძე, კუხიანიძე, კაპანაძე, მაისურაძე, მიხელიძე, ლებანიძე მ., გიორგობიანი ელ; მათ კანდიდატებათ: ბაგანაშვილი, ხართიშვილი ბაბ., გოგლიძე.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: კუბლაშვილი, შენგელაია ვ., მახვილაძე. მათ კანდიდატებათ: ცაბაძე და გაგნიძე.

შემდეგ კრებამ მოახდინა ადგილობრივ სამკითხველოს მუდმივი გამგეობის არჩევნები. აირჩიეს: ბაქრაძე ლ., გოგლიძე, თხილაძე, კუბლაშვილი, შენგელაია, კირკაზიძე, ლებანიძე მ. მათ კანდიდატებათ: ხართიშვილი ბარბარე, მაისურაძე და ბაგანაშვილი.

კრებამ მადლობა გამოუცხადა შემომწირველ და დროებით გამგეობას, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი საბურთალო-ახალშენის სამკითხველოს.

ბელზებელი

## ჯარისკაცთა წერილები

არა ერთხელ და ორჯელ თქმულა და აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე, რომ დღეს ამიერ კავკასიაში მყოფ ერებს და კერძოთ კი ჩვენ, ქართველებს, გვიხდება არსებობა ცხოვრების მეტათ რთულ და მძიმე პირობებში. ყოველივე დარგი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ისეთაც ამ საშინელი ომის გამო აწეწილია, ბოლშევიკების გამოსვლის და უკანასკნელების მიერ ცენტრში ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ,—ცხოვრება ზედმიწევნით აირ-დაირია. ვინც ცოტაოდნათ თვალყურს ადევნებს დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობას, ის ამაში უეჭველათ დამეთანხმება და მაშასადამე, დამეთანხმება იმაშიც, რომ პირველი ჩვენი საზრუნავი საგანი უნდა იყოს: რევოლიუცია მივიყვანოთ სასურველ ბოლომდე, ცხოვრება ჩავაყენოთ ნორმალურ კალაპოტში და, მაშასადამე, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი, რომელიც ასე გვაწუხებდა, უზრუნველვჰყოთ.

ამის ცხოვრებაში საჭიროთ გასატარებლათ კი დაყოვნება შეუძლებელია, საჭიროა ყველა ჩვენთაგანმა მიიღოს მხურვალე, ენერგიული და გარკვეული მონაწილეობა და შეერთებულათ გამოვიდეს ცხოვრების მოსაგვარებლათ ჩვენდა საკეთილდღეოთ.

დღევანდელი ცხოვრების ფერხულში არიან ჩაბმული ჯარისკაცებიც არა ნაკლებ სხვებისა. ვინ არ იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ჯარისკაცებს რუსეთის რევოლიუციაში. ზედ-მეტათ მიმაჩნია ამის შესახებ ლაპარაკი. მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გულგრილობა რევოლიუციისადმი, რომელმაც ფეხი მოიკიდა ჯარისკაცებში და ამ უკანასკნელის, როგორც ერთ-ერთი შედეგი,—სოფლებში გაფანტული ზოგიერთი ჯარისკაცების მოვალე 19—25 წლიანების მობილიზაციისადმი მეტად უარყოფითი ცქერამ. ზოგიერთი ჯარისკაცები სოფლებში ეწევიან ფართე აგიტაციას ამხანაგებში ამ დაძახილს სამშობლოს განსაცდელისაგან დასახსნელათ არ გამოეხმაურონ.

ნუ თუ ამხ. ჯარისკაცებმა არ იციან რა მიზნით ხდება ეს მობილიზაცია?

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ სამშობლო მოითხოვს ხსნას, თავდაცვას იმ საშინელებებისაგან, რომლებიც შექმნილ მდგომარეობის გამო ადვილი შესაძლებელია, როგორც შიგნიდან, ისე გარედან თავს დაგვატყდეს და ჩვენი მხარე გაეხვიოს ანარქიის ტალღებში და სხვა რომ არ ვთქვათ, ფიზიკური არსებობაც კი ვერ შევინარჩუნოთ.

არავინ არ უარყოფს იმას, რომ ჯარი დაიღალა და მას სახლში დაბრუნება და მოსვენება სჭირია, მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი მყუდრო ცხოვრების შექმნა დღევანდელ პირობებში, უკეთუ ჩვენ საამისოდ არა ვართ მომზადებულნი?

მე ვიტყვი: არა. და ამის შემდეგ პირდაპირ ვერ დამიჯერებია, როდესაც ვესმის ასეთი ხმები: „ვნახოთ, გამოგვიცხადონ მობილიზაცია,—რა ხეირს წაიღებენ ბოლოს დავანახვებთ“, ან და „სოც.-დემოკრატებისთვის მისთვის კი არ მიგვიცია ხმა, რომ მობილიზაციები ახდინონ და სოოამად გვწვეონო“. ამას ამბობენ ქართველი ჯარისკაცები, რომლებზედაც იმედებს ვამყარებდით არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა ერებიც.

ჩემი წერილის მიზანს შეადგენს მიმართვა და თხოვნა ყველა სახლში მყოფ ჯარისკაცებისადმი, და განსაკუთრებით კი იმ ჯ.-კ.-სადმი, რომლებსაც ორი და სამი წელი გაუტარებიათ ფრონტზე მოუწოდონ ამხანაგებს გამოეხმაურონ მომავალ მობილიზაციას და მაგალითი მისცენ ამხანაგებს ჩაეწერო სამხედრო ნაწილებში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცონ, რომ ისინი არიან შეგნებულნი, აღჭურვილნი სამშობლოს სიყვარულით და თუ საჭირო იქნა, არ დაიშურებენ ისედაც განაწვალებ სიცოცხლეს ჩვენი ნორჩ თავისუფლების განსამტკიცებლად და სამშობლოს განსაცდელისაგან სახსნელად.

ჯარისკაცი ვალიკო შრომიშვილი.

## მუშათა შორის

ქალაქთა კავშირის მოსამსახურეების პროფ. კავშირის გამგეობის წევრთა კრება შესდგა 20 იანვარს, რომელმაც გაარჩია სხვადასხვა კითხვები. 1. ლაზარეთების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს შემდეგ პირობებში: დათხოვილ მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს თანახმად სალიკვიდაციო კომისიის დადგენილებისა ჯილდო და ჯამაგირი უსათუოდ ფულათ. უკიდურეს შემთხვევაში, ლიკვიდაციის ფული უნდა მიეცეს ჩეკით, რომელიც უნდა გადაიტანოს სახელმწიფო ბანკმა. ამავე დროს სოფელში წასასვლელი ბილეთი უფასოთ. სანამ ადგილს იშოვიდეს დათხოვნილი მუშა საცხოვრებელი ბინა უფასოთ, სანამ ანგარიშს მიიღებდეს. ყველა ლაზარეთების დელეგატების არჩეული კომისიას შეუერთა კავშირმაც კომისია და მას დაავალა დაჭრილთა კომიტეტში აღძრას საკითხი ზემო აღნიშნულ მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანათ. მეორე კითხვა, რომელიც ეხებოდა ლაზარეთ № 50-ში მოსამსახურე ეკონომის უდანაშაულოთ დათხოვას—დაადგინა: საგამომძიებლო კომისიის ჩვენების შემდეგ აღადგინოს მას უფლება და მიეცეს კუთვნილი შრომის ქირა. მესამე კითხვა ლაზარეთ № 50-ში მყოფ ადმინისტრაციას მოსამსახურე მილიციის საშვალებით გამოუგდია გარეთ, რაც კავშირის გამგეობამ დაგმო. მეოთხე კითხვათ გაარჩია № 27 ლაზარეთის მოსამსახურე კლუბოვის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა არა კეთილსაიმედო მოქმედება. თანახმად საკონფლიქტო კომისიის შეხედულობისა იგი დამნაშავეთ იცნო და სამსახურიდან დაითხოვა.

ან—შვილი.

## პროვინცია

**სოფ. ორაგვე** (გურია). ს. ორაგვე მდებარეობს ლანჩხუთიდან ოთხი ვერსით დაშორებით, მცხოვრებნი 40 მოსახლეს არ აღემატება. ამ სოფელში არსებობს ორი კულტურული დაწესებულება, წიგნთ-საცავ სამკითხველო და ერთიც ორ კომპლექტიანი სამინისტრო სკოლა. სამკითხველოში თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები მოიპოვება და ხალხიც ბევრი ეტანება. სკოლაში ორი მასწავლებელი არის.

1895 წ. განიზრახეს ამ სოფლის მცხოვრებლებმა სამინისტრო სკოლის აშენება სოფლის შუა ალაგას საეკლესიო მიწაზე; ეს რომ სულიერმა მამამ გაიგო არ ესიამოვნა, რადგანაც ერთი რომ, სამინისტრო სკოლის წინააღმდეგი იყო, მას უნდოდა სამრევლო სკოლა და შიგ მასწავლებლობა და რადგანაც ხალხი მის თანახმა არ გახდა ჩაშალა სკოლის აგების საქმე, მაგრამ ხალხმა ნაქირავებ სახლში გახსნა სასწავლებელი და მასწავლებლათ აირჩა ალფესი გ. კვაჭაძე.

ამ სოფელში საზაფხულო საცხოვრებელი ბინა და ეზო ქონდა თავად ვახტანგ გურიელს. ის რადგანაც 904—5-ს მოძრაობამ შეაშინა, ამ სოფელს განშორდა და შემდეგ აღარ მოსულა და მიწის მისყიდვა აღუთქვა ხალხს სკოლისთვის, ესეც არ გამოეპარა მოძღვარს და ეს მიწა შეიყიდა თვითონ, ამ ამბავმა ხალხი ძრიელ აღაშფოთა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო და მღვდელმაც თავისი ძალა გაიყვანა. მაგრამ დღეს შესაძლებელი შეიქნა სასურველ საქმის სისრულეში მოყვანა და ლეინინობისთვის შუა რიცხვებში მოხდა საერთო კრება ადგილობრივი მცხოვრებლებისა. აირჩიეს სასკოლო საბჭო, რომელსაც დაევალა სკოლის სასურველ ნიადაგზე დაყენება. საბჭომ უპირველეს ყოვლისა მასწავლებლობიდან გადააყენა მღვდელი კვაჭაძე და მის ადგილზე დანიშნეს ალფესი გ. კვაჭაძე როგორც ძველი მასწავლებელი, მაგრამ ალფესიმ უარი განაცხადა, რადგან მღვდელს მხარს უჭერდა. საბჭომ ხელწერილი მოსთხოვა კვაჭაძეს, რომ ის უარს ამბობს მასწავლებლობაზე. რომ მომავალში საყვედური არ ეთქვა ხალხისთვის, რატომ არ ამომირჩიეთო, ამის შემდეგ დასთანხმდა მასწავლებლობაზე. მაგრამ შემდეგ, როცა დაამტკიცა დირექტორმა ძ უნდა დაეწყო მეცადინეობა ხელმეორეთ უარი განაცხადა. მასწავლებელ კვაჭაძის ასეთი მოქმედება დასაგმობია, რადგან ეხლა მარტო ერთი მასწავლებელი დარჩა და ამოდენა საქმის გაძღოლა უჭირს.

დათიკო ლომინაძე.

**სოფ. ფამფალეთი** (გურია). 26 იანვარს შესდგა ფამფალეთის სოფლის მომხმარებელ საზოგადოების „განთიადის“ წევრთა კრება, განსახილველი და დასამტკიცებელი იყო რვა თვის ანგარიში დაწყებული 16 მაისიდან გასული 1917 წლისა, ვიდრე 16 იანვრამდე ამა 1918 წლისა. ამ უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში წმინდა შემოსავალი უდრის 5491 მ. 86 კ. კრებამ სავსებით მიიღო და დაამტკიცა ეს ანგარიშები. ენერგიული მუშაობისათვის გამგეობის წევრები ალექსი ხომერიკი, მილოსი მდინარაძე, ივანე მიქელაიშვილი იქნენ დაჯილდოვებული 500 მანეთით, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებს მოსე მჟავიას და მღ. მოსე ინწკირველს გამოეცხადა მადლობა. ნოქრები ეროდი, ბესარიონ ინწკირველები, ბიკტორ მელიქაძე და მოლარე დიდმანიძის ასული ერთგული და მუყაითი მუშაობისათვის იქნენ დასაჩუქრებულნი პირველი თუთხმეტი თუმნით, ხოლო დანარჩენი სამნი კი ას-ასი მანეთით.—ამავე მოგებიდან ფულებიდან კრებამ გადასდო 500 მ. ბახვის და ნატანების წყლებზე გასაკეთებელ ბოგირებისთვის. ბახვის სახალხო სახლის ასაშენებლათ 100 მ. ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიისათვის 100 მ. და 50 მ. მოსწავლე ქართველ მახმადიან ჰინჯარაძის სასარგებლოთ, რომელიც სწავლობს ბახვის სკოლაში. შემდეგ ამისა თანახმად მათის თხოვნისა იქნენ გამოცვლილი ძველი გამგეობის და სარევიზიო კომისიების წევრნი და მათ ადგილას გამგეობის წევრებათ აირჩიეს ანტონ თ. ხომერიკი, აკაკი გ. ინწკირველი და კონსტანტინე მ. ჰინჯარაძე, პირველ ამათგანს ხომერიკს კრებამ დაუნიშნა თვეში ას ორმოცდა ათი მანეთი ჯამაგირი და ის ითვლება პასუხისმგებელ გამგეობის წერათ და უკანასკნელნი ინწკირველი და ჰინჯარაძე კი უჯამაგირონი არიან, მათ კანდიდატებათ აირჩიეს იერემი გ. ინწკირველი და მიხეილ მ. მიქელაიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებათ მიხეილ თ. ინწკირველი და იასე ე. მიქელაიშვილი.

X.

**ასკანა** (გურია). 1918 წელს 12 იანვარს შესდგა ასკანის მომხ. საზ. „სარგებლობის“ წევრთა წლიური საზოგადო კრება, განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება მომხ. საზოგადოების წარმოებისა და წლიური ანგარიშის შესახებ, მოგების განაწილება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, 1917 საანგარიშო წლის განმავლობაში გადატრიალებულა 80,000 მანეთი დაახლოვებით, რომლის საერთო მოგება კერძო შემოსავლის დამატებით უდრის 18,903 მან. 83 კ. ხარჯებში გასულა 8,136 მ. 11 კ. წმინდა მოგება დარჩენია საზოგადოებას 10,762 მან. 72 კაპ.

კრება ერთხმათ ღებულობს წლიურ ანგარიშს თანახმად მოხსენებისა და ამტკიცებს. წმინდა მოგება კრების მიერ განაწილდა შემდეგ ნაირად: 10 პროც. მოგებისა, თანახმად წესდებისა რაიც შეადგენს 1076 მ. 80 კ. გადაიდო სათადარიგო თანხაში. 10 პროცენტი ე. ი. 1076 მ. 80 კ. გასულ წლის დადგენილების თანახმათ გადაიდო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა გასამრჯელოთ, 200 მან. გადაიდო ოზურგეთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების შენობის ფონდისათვის, 500 მან ასკანის საზ. სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლათ, 1000 მან. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის საჭიროებისათვის, 800 მ. ბახვის წყლის ბოგებისათვის თანასწორათ, 114 მ. 12 კ. ასკანის საზოგადოების წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ და 6000 მ. გადაიდო სა-პაიო თანხის გასაძლიერებლათ სავაჭროს წარმოებისათვის. გამგეობაში არჩეულ იქმნა შემდეგი პირები: მელიტონ ნაცვალაძე, მოსე ჯაველიძე, ვასილ ვასაძე. კანდიდატებათ: ათანასე ნინიძე და გიორგი ნაცვალაძე. სარევიზიო კომისიაში მღ. ერმალო ჯაველიძე, მასწ. პ. თალაკვაძე და დანიელ ჯაველიძე.

პატრიკი თალაკვაძე.

**გორა-ბერეჟოული** (გურია). 5 იანვარს შესდგა კოოპერატივის „შელავათი“-ს წლიური კრება. სარევიზიო კომ. წევრმა გააცნო კრებას წლიური ანგარიში; გამოირკვა შემდეგი: ექვსი თვის განმავლობაში გადაუბრუნებია საქონელი 8000 მან. ღირებულებისა. მოსაგები დარჩენია 804 მანეთი. აქედან კრებამ ყოფილ ნოქარს სამი თვის ჯამაგირი, ნაცვლათ 60 მანეთისა მისცა 100 მანეთი, 30 მანეთი გადასდო ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ, 30 მან. სამკითხველოსთვის, 30 მან. გაზ. „ერთობის“ სასარგებლოთ. დანარჩენი 594 მანეთი ჩაირიცხა ძირითად თანხაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პატარა სოფელი, რადგან უთანხმოების გამო გაიყო და ორ ალაგას არსებობს კოოპერატივი, რის შესაერთებლათ ბევრჯერ იქნა ზომები მიღებული, მაგრამ მაინც ვერ შეერთდენ, სანამ თვით არ დარწმუნდენ, რომ ასე ცალცალკე მოქმედება ახლო მომავალში ორივეს გააქრობდა, დღეს როცა ამის მაგალითიც დაინახეს, მოვიდენ გონს და ორივე მხარემ აირჩია მოსაშვალე პირები, რომლებიც ამ ორ კოოპევატივს შეაერთებს როგორც მოსახერხებელი იქნება.

მ. დოლიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ქ. ტრაპიზონის რაიონში სოფელ ლარხანეში ინჟ. გ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით გაყავდათ გზატკეცილი.

ამ გზაზე მუშაობდა დაახლოვებით ასი ქართველი მუშა, რომლებმაც თავისუფლების გამოცხადების დღიდან იქვე არსებული ფურნე აიღეს და საწარმოებლად მიანდვეს რამოდენიმე მათ შორის არჩეულ პირთ იმ მიზნით, რომ პური მუშებისათვის ხელმისაწდომ ფასებში მიეწოდებია და თუ ზედმეტი მოსაგები დარჩებოდა, ის რაიმე საზოგადო საქმის სასარგებლოდ გადაედოთ. ასეც მოხდა. გამგეობამ დაკისრებული საქმე კარგათ იყო თუ ავათ ივლისის დამლევამდე აწარმოვა, შემდეგ გზა დახურულათ იქნა გამოცხადებული და ფურნეც შეჩერებულათ.

დახურვისას იქ დარჩენილმა ამხანაგებმა იქონიეს მსჯელობა თუ სად გაეგზავნათ დარჩენილი ფული და გადაწყვიტენ გაეგზავნათ თფილისში საარჩევნო დამფუძნებელი კრების ფონდის სასარგებლოდ.

ფურნის გამგეობას უკანასკნელი ანგარიში ხელთ არ ქონდა მაშინ, რადგან ქალაქ ტრაპიზონში უნდა ჩამოსულიყვნენ და იქ ინჟინერთან და მოიჯარადრეებთან უნდა გაესწორებიათ ანგარიში. ტრაპიზონში ანგარიშის გასწორებამ გასტანა დაახლოებით გიორგობისთვის დამლევამდე და ფულათ დარჩა მოსაგები 359 მ.—მასთან მოძრავი ქონება შეფასებული 452 მ. 50 კ.

ეს უკანასკნელი უძრავი ქონება შესდგება ორი სასწორისგან, რომელიც „კორპუსნოი სტროიტელსტვოს“ მივყიდეთ, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ფული ჯერაც აუღებელია. მე დღემდე ვიცადე, ვფიქრობდი ამ უკანასკნელსაც ავიღებ და ერთად გავგზავნი დანიშნულებისამებრ მეთქი, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ არ ვიცი როდის ავიღებ ამ სასწორის ფულს, ამასთან იქ მყოფი ამხანაგები ყველა ერთმანეთზე დაშორებულია და არ იციან საქმის მდგომარეობა, ვგზავნი ფულს, რომელიც ხელთ მაქვს 359 მანეთს თქვენი რედაქციის სახელზე და თან დავძენ, რომ რადგან დამფუძნებელი კრების არჩევნები უკვე გათავებულია, ეს ფული რედაქციამ ისარგებლოს თავის შეხედულებისამებრ აუცილებელ და წაჭირო საქმეზე*)

იმედია ჩემი ყოფილი ამხანაგები მაპატიებენ თუ დავაგვიანე ფულის თავის დროზე გაგზავნა ან დანიშნულებას ავაშორე, მაგრამ მგონია დამეთანხმებიან, რომ ყველა ეს მოხდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

გამგეობის წევრი ის. ინწკირველი.

*) ფული გადაირიცხა გაზეთის ფონდში რედ.

## ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარისკაცი თეოფილე კონსტანტინესძე გიორგაძე მსახურობდა დასავლეთის მომქმედე არმიაში, მისი ადრესი იყო აგრე: „Дѣйствующая армія 430-й пѣх. Херсонскій полкъ 2 баталіонъ 8-ая рота 3-й взводъ ორი წელიწადი დათავდა, რაც მის შესახებ მისმა მშობლებმა და ნათესავებმა არაფერი იციან, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ოზურგეთი ქეთ. გ., ცხემლის-ხიდი სოფ. უხუბი კონსტანტინე გიორგაძე.

**სამკურნალო კაბინეტი**
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილ სახსნენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
**თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,**
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის **მედიცინის დოქტორის**
**გ. გ. მეგრაბიანცისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**
**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ვ. გ. ვეშაპაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ

**საქართველოს ეროვნული საბჭოს** თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 **თებერვალს**, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის კრება** ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში“. **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(7—7) **ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**

მშრომელ-მეცქვაში სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.